ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 23 ივნისი 2008 №142 (3366) ფასი 50 თეთრი


# ოლეეე!

## კორიდამ ოპერას ფეხბურთი მოუგო



# FINITA LA ITALIA



## 1/2 გერმანია VS თურქეთი
## რუსეთი VS ესპანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახა მჟავანაძე და საკითხავი ოდესა



ერთწლიანი შესვენების შემდეგ, კახა მჟავანაძემ კვლავ ითამაშა ოდესის „ჩერნომორეცში".

გეცოდინებათ, საქართველოს ნაკრების ერთ დროს შეუცვლელი მარჯვენა მცველი ჯერ მახაჩყალის „ანჟიში", შემდეგ კი უკრაინის ქვედალიგელ ოვიდიოპოლის „ხიმკიში" იყო განათხოვრებული.

მჟავანაძემ მოლდოვურ „ისკრა-სტალთან" 1:0 მოგებულ მატჩში პირველი ტაიმი იბურთავა. ჯერჯერობით არაა ცნობილი, მას ისევ გაანათხოვრებენ, გაყიდიან თუ დაიტოვებენ.

ილია ნანოგაშვილი

# ლომიძემ კარპატი მოსინჯა

ქართველმა მცველმა მამუკა ლომიძემ, რომელიც უკრაინულ ლვოვის „კარპატიში" ისინჯება, პირველი ამხანაგური თამაში ხარკოვის „მეტალისტის" წინააღმდეგ ჩაატარა.

ლვოველებმა 2:1 მოიგეს და ლომიძე თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო.

გასულ სეზონში ქართველი ფეხბურთელი კიშინიოვის „ზიმბრუში" იყო, „კარპატიში" კი ლვოველთა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ კონონოვმა, მიიწვია, რომელიც მანამდე, ტირასპოლის „შერიფში" მუშაობდა.

ბაჩა ზალამბერიძე

# კორღალიძემ ისევ გაიტანა

კიშინიოვის „დაჩიას" ქართველმა ნახევარმცველმა ლევან კორღალიძემ რუსული „მოსკვას" ახალგაზრდულ გუნდთან ამხანაგურ მატჩში გოლი გაიტანა.



„დაჩიამ" 4:3 გაიმარჯვა და კორღალიძემ ანგარიში გახსნა.

მის გარდა, კიშინიოველთა ძირითად შემადგენლობაში კიდევ ერთი ქართველი, ფორვარდი ჯაბა დვალი იყო, რომელიც 84-ე წუთზე შეცვალეს.

შეგახსენებთ: ერთი კვირის წინ, „ზიმბრუსთან" ჩატარებულ სპარინგში „დაჩიამ" კორღალიძის ერთადერთი გოლით გაიმარჯვა.

ბაჩა ზალამბერიძე

# მენთეშაშვილი გავიდა და... გოლებიც გავიდა

ლატვიის ჩემპიონატის მე-13 ტურში ზურაბ მენთეშაშვილის „ვენტსპილსმა" დაუგავპილსის „დაუგავასთან" 2:2 ითამაშა და 27 ქულით ლიდერობა შეინარჩუნა.

„ვენტსპილსი" 2:0 იგებდა, თუმცა ბოლო ხუთ წუთში მეტოქეს გათანაბრების საშუალება მისცა და დასანანი ქულები დაკარგა.

მენთეშაშვილმა მოედანზე 76 წუთი დაყო.

22 ქულით მე-3 ადგილი შეინარჩუნა რიგის „სკონტომ", რომელმაც „ვინდავა" 3:0 გაანადგურა.

რიგელთა შემადგენლობაში ვლადიმერ დვალიშვილმა 68-ე წუთიდან ითამაშა, დავით გამეზარდაშვილი კი მოედანზე 87-ე წუთზე გამოჩნდა.

ბაჩა ზალამბერიძე



ზურაბ მენთეშაშვილის (№10) „ვენტსპილსმა" ქულები ბოლო წუთებზე დაკარგა

# ინტერტოტოს თასი

ეტელბრუკი. 21 ივნისი. 19 საათი. სტად ამ დეიჩი

## ეტცელა 0:0 ლოკომოტივი

მსაჯები: გ. მაჟეიკასი, შ. დირდა, ს. სლივა (სამივე ლიტვა), რ. სალესი (ლუქსემბურგი)



ზურაბ ბათიაშვილი

# ლოკომოტივის მშრალი სტუმრობა

შაბათს ლუქსემბურგში თბილისის „ლოკომოტივმა" ინტერტოტოს თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში იქაურ „ეტცელასთან" 0:0 ითამაშა და მომდევნო ეტაპზე გასვლას საპასუხო შეხვედრაში 28 ივნისს თბილისში შეეცდება.

თამაში თანაბრად წარიმართა და გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო.

საწყის წუთებში ბრძოლა ცენტრში მიდიოდა, მოგვიანებით კი სახიფათო მომენტებიც შეიქმნა. „ლოკომოტივიდან" გამორჩეული იყო მეკარე ზურაბ ბათიაშვილი, ვინც მთელი თამაში დამაჯერებლად ჩაატარა და გუნდი ორჯერ გადაარჩინა — ჯერ მასთან პირისპირ გასულ მეტოქეს აჯობა, მერე კი ახლოდან დარტყმული მოიგერია.

ჩვენებიდან ლევან სარალიძე მარჯვნიდან შევიდა და შორეულ კუთხეში სახიფათოდ დაარტყა. უფრო ხელსაყრელი მომენტები კი ვიტალი დარასელიას და გიორგი გულორდავას ჰქონდათ. დარასელიამ მცველებს აჯობა, რატი ალექსიძესთან კედელი გაითამაშა და პირისპირ გასულმა წინ გაგდებულ ბურთს ველარ დაეწია — მეკარემ დასწრებაზე ითამაშა. აი, გულორდავამ კი, მეკარესთან პირისპირ გასულმა კარგი მომენტი ქარს გაატანა.

ბოლოსკენ ცოტა უფრო დაღლილები ლოკომოტიველები ჩანდნენ. ძალიან ცხელოდა და თან ხანგრძლივმა მგზავრობამაც იჩინა თავი, თუმცა „ეტცელა" თამაშის მიწურულს მხოლოდ კარის მშრალად შენახვაზე ფიქრობდა...

ასე რომ, ყველაფერი თბილისში, საპასუხო თამაშში გაირკვევა, ამათ შორის უკეთესი კი მომდევნო ეტაპზე რუსულ „სატურნს" შეხვდება.

და ერთიც, „ეტცელა" — „ლოკომოტივის" მატჩს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი დაესწრო. ხორვატი სპეციალისტი გულდასმით ინიშნავდა მისთვის საინტერესო ინფორმაციებს.

„ლოკომოტივმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ბათიაშვილი, გუშარაშვილი, დ. ფოფხაძე, სარალიძე, სამხარაძე (დ. ჩაგელიშვილი 63), გულორდავა (ბარბაქაძე 75), ზ. ჩხეტიანი, ჩირიკაშვილი, ალექსიძე, დარასელია.*

*გაფრთხილება: დარასელია.*

ლევან მაისურაძე

# ქართული დერბი ინტერტოტოზე

ინტერტოტოს თასზე ქართველების დერბი შედგა: გიორგი ადამია-გიორგი ჭელიძის „ნეფთჩიმ" პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე შინ 2:0 მოუგო ირაკლი ლილუაშვილის სლოვაკურ „ნიტრას".

„მენავთობეთა" გუნდში ორივე ქართველმა ითამაშა და, ადამია თუ აქტიური იყო, ჭელიძეს არცთუ კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია, რაც აზერბაიჯანელი ჟურნალისტების კრიტიკის საბაბი გახდა.

მასმედიის ცნობით, ნამატჩევს „ნეფთჩის" მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ, უბრალოდ, ტრანსფერი გაამართლა, როცა თქვა, ჭელიძეს დრო სჭირდება ახალ გუნდთან შესაგუებლადო.

დემიანენკოს „პაჭელო" მოსწონს და აღნიშნა კიდეც, კარგი შენაძენი გავაკეთეთო. რაც შეეხება ლილუაშვილს, ბოლო 24 წუთი ითამაშა „ნეფთჩისთან".

ილია ნანოგაშვილი

# გაგრამ ხმები და ძოძუაშვილი უარყო

ჭიათურის „მაღაროელის" ნაცვლად უმაღლეს ლიგაში აღზევებულ „გაგრას", შესაძლოა, მთავარი მწვრთნელი შეეცვალოს...

კულუარული ინფორმაციით, გიორგი ჭიაბრიშვილის ნაცვლად რევაზ ძოძუაშვილი დაინიშნება, თუმცა ამ ფაქტს გაგრელები უარყოფენ.

„მწვრთნელის შეცვლაზე ლაპარაკი არ ყოფილა. 26 ივნისს კრება გვექნება და ალბათ მცირე ცვლილებებიც მოხდება. ოღონდ მხოლოდ ფეხბურთელების მხრივ. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს გეტყვით..." — გვითხრა „გაგრას" გენერალურმა დირექტორმა გოდერძი ჩიხრაძემ.

მიხეილ ჟორჟოლიანი



რევაზ ძოძუაშვილი

# მაღაროელი დამთავრდა! პროფლიგა და ტორპედო-2008

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობამ განიხილა ს.კ. ჭიათურის „მაღაროელის“ საკითხი და გადაწყვიტა: იმის გამო, რომ ს.კ. „მაღაროელმა“ ვერ დააკმაყოფილა ლიცენზირების კრიტერიუმები და ვერ მიიღო ლიცენზია, კლუბი არ მიიღებს მონაწილეობას 2008-09 წლების ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გათამაშებაში. ს.კ. „მაღაროელის“ მაგივრად განიხილებოდა ორი გუნდი: ს.კ. ბათუმის „დინამო“ და ს.კ. გაგრის „გაგრა“. ორივე კლუბს მოპოვებული აქვს ლიცენზია უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისთვის.

სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ სპორტული პრინციპით, ს.კ. გაგრის „გაგრას“ მიეცეს უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება. ეს გუნდი ხელშეკრულებით ითამაშებს „ამერის“ სტადიონზე.

ქუთაისში კი დაფუძნდა ახალი საფეხბურთო კლუბი ქუთაისის „ტორპედო-2008“.

პირველ ლიგაში დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში ტარდება 12-გუნდიანი გათამაშება, ისევე, როგორც უმაღლესი ლიგაში. აღმოსავლეთ ზონაში მონაწილეობს 12 გუნდი, ხოლო დასავლეთ ზონაში 12-გუნდიანი გათამაშების დაბალანსების მიზნით, გამგეობის ყველა წევრის თანხმობით, სფფ-სა და სპფლ-ში შემოსული ოფიციალური წერილის საფუძველზე, დასავლეთ ზონას დაემატა ს.კ. ქუთაისის „ტორპედო-2008“.

*პროფლიგის პრესსამსახური*

„გაგრა“ უმაღლეს ლიგაშია: მიჯრით ორი წელი პლეი ოფში აგებდა ეს გუნდი და ასე დაემართა წლეულსაც, თუმც მისმა მძლეველმა, ჭიათურის „მაღაროელმა“ ლიცენზირების კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა და გაგრელებსაც მწვანე შუქი აენთოთ.
ეს საკითხი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის სხდომაზე გადაწყდა. რადგან „მაღაროელი“ გამოირიცხა, მის ნაცვლად ან „ბათუმს“ ან „გაგრას“ უნდა ეთამაშა უმაღლესში. სხდომაზე კი ერთხმად დაუჭირეს მხარი „გაგრას“ ვარიანტს — სპორტული პრინციპით.
„გაგრა“ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდი იყო პირველ ლიგაში და მისი რამდენიმე ფეხბურთელი საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებშიც ხვდებოდა.
და ერთიც, უმაღლეს ლიგაში „გაგრა“ მუხრანის ნაცვლად გლდანში, „ამერის“ სტადიონზე გამართავს საშინაო მატჩებს



# ან უკრაინა, ან თურქეთი
## გაგრამ ხელები მოიფშვნიტა

— ცხადია, ძალიან გაგვიხარდა. ეს ინფორმაცია გუშინ შევიტყვეთ. ისტორიული ამბავია, „გაგრა“ პირველად ითამაშებს უმაღლეს ლიგაში. ჩვენ ამისთვის ვიბრძოდით და ცოტაღა გვაკლდებოდა, მიზნის მიღწევამდე — გვითხრა „გაგრას“ მთავარმა მწვრთნელმა *გია ჭიაბრიშვილმა.*

**— ამ მოულოდნელი სასიხარულო სიახლის გამო მზადების გეგმებს შეცვლით?**

— არა გვგონია. ამჟამად კლუბის პრეზიდენტი საქართველოში არ გახლავთ, მაგრამ ჩამოვა და დავაწყობთ კიდეც გეგმებს, თუმც როდესაც პირველ ლიგაში ვიყავით, შარშან და შარშანწინაც კარგი შეკრებები გვქონდა, უკრაინაში ვიყავით. შესაძლოა, წლეულსაც უკრაინაში გავიაროთ შეკრება, ან თურქეთში. აქ კი 16 ივნისს დავიწყეთ მზადება.

**— შემადგენლობაში რა ცვლილებები იქნება?**

— ჩვენ არ ვულალატებთ კურსს, ანუ ახალგაზრდების დაწინაურებაზე გავაკეთებთ აქცენტს. მაგალითად, ახლა თუ საშუალო ასაკი 20 წელია, შესაძლოა, ამ სეზონში 22 იყოს, ანუ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი შეიძლება შევიმატოთ. გუნდიდან მეკარე ბათიაშვილის გარდა არავინ წასულა, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელს აქვს შემოთავაზება უცხოური კლუბებიდან — მათ გვარებს ჯერ ვერ დავასახელებ. ნამატი ჯერ არ გვაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რამდენიმე მოთამაშე დაგვემატება.

**— „ამერის“ მოედანს სხვა ქართულ სარბიელებთან შედარებით, დასაწუნი ნაკლებად აქვს და ალბათ მნიშვნელოვან პლუსად თვლით საშინო მატჩების იქ გამართვას...**

— დიახ. „ამერზე“ ვითამაშებთ და პარალელურად, კლუბი ცდილობს, საკუთარი მინდორი ჰქონდეს. ეს საკითხი ჯერ იდეაშია.

**— გია გეგუჩაძე კარგა ხანს „გაგრას“ ტექნიკური დირექტორი გახლდათ. ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ისევ დაბრუნდეს გუნდში?**

— მხოლოდ იმას გეტყვით, რომ გია გეგუჩაძე ჩვენი მეგობარია, ჩვენთან ერთად იზიარებს წარმატებასაც და წარუმატებლობასაც. „გაგრა“ რომ ასე თუ ისე ნორმალური გუნდია, მისი დიდი დამსახურებაცაა. გეგუჩაძეს კარგი ვარიანტები აქვს და, სავარაუდოდ, მალე გააკეთებს არჩევანს.

**ილია ნანობაშვილი**

# რამდენ გუნდს ვერ ინახავს და რამდენ გუნდს შეინახავს ქუთაისი?



**ქართულ** ფეხბურთს ერთი ახალი გუნდი შეემატა — ქუთაისის „ტორპედო-2008“.

კლუბი რამდენიმე დღის დაფუძნებულია და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში და პროფესიული ფეხბურთის ლიგაში შესული ოფიციალური წერილის საფუძველზე „ტორპედო-2008“ საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის დასავლეთ ზონაში ითამაშებს. ეს გადაწყვეტილება გამგეობის ყველა წევრის თანხმობით მიიღეს და ამ გადაწყვეტილებით დასავლეთ ზონაში გუნდების რაოდენობაც დააბალანსეს.

შეგახსენებთ, რომ პირველი ლიგის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში, უმაღლესი ლიგის მსგავსად, 12-12 გუნდი ითამაშებს.

წესით და რიგით, ყოველი ახალი გუნდის გამოჩენა გულშემატკივრისთვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს, თუმცა ამ ფაქტს ერთი დიდი უცნაურობაც ახლავს — ქუთაისს პირველ ლიგაში სამი გუნდი ეყოლება.

უცნაური კი ის არის, რომ ახალი გუნდი ადგილობრივი თვითმართველობის ბალანსზე იქნება, იმ თვითმართველობის, რომელმაც ერთი წლის წინ საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ქუთაისის „ტორპედო“ ვეღარ შეინახა და უფინანსობის გამო ქვეყნის სამგზის ჩემპიონი პირველ ლიგაში დაქვეითდა.

არის კიდევ ერთი ვერსია — „ტორპედო-2008“ და გასულ სეზონში პირველ ლიგაში მოთამაშე ქუთაისის „უნივერსიტეტი“ გაერთიანდებიან და ამ შემთხვევაში ქუთაისს ორი გუნდი დარჩება.

გუნდს ეყოლება სამეთვალყურეო საბჭო, რომლის უფროსი ქუთაისის სპორტის სამსახურის ყოფილი უფროსი ტარიელ ძოწენიძე იქნება. დამთხვევაა თუ სხვა რამ, ვერ გეტყვით, მაგრამ სწორედ სპორტის სამსახურში მისი უფროსად მისვლის შემდეგ დაიწყო ქუთაისის „ტორპედოს“ ჩავარდნა და, როგორც ჩანს, ახლა ახალი გუნდის შექმნას აპირებს.

როგორც შევიტყვეთ, ძოწენიძეს დაეხმარება ასევე ქალაქის სპორტის სამსახურის ყოფილი უფროსი რამაზ ჩხიკვაძე, რომელსაც თავის დროზე ქუთაისის „ტორპედოს“ პრესსამსახურში და ქუთაისის ფუტსალის გუნდის უფროსად უმუშავია.

„ტორპედო-2008“-ის მთავარი მწვრთნელის ადგილზე ორი კანდიდატურაა — ედუარდ შავგულიძე, რომელიც გასულ სეზონში „უნივერსიტეტს“ წვრთნიდა (სწორედ ეს გვაფიქრებინებს ამ გუნდების შესაძლო გაერთიანებას) და რევაზ ბურკაძე, რომელიც ქართულ ფეხბურთში მეტ-ნაკლებად ცნობილი კაცია.

ქუთაისურ ფეხბურთში დაპირისპირება სამი წლის წინ დაიწყო და, როგორც ჩანს, ეს „ომი“ გაგრძელდება. ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა, „ტორპედო“ თავის დროზე შეენახათ და ერთი ძლიერი გუნდი ჰყოლოდათ, ვიდრე სამი (ან თუნდაც — ორი) მაჩანჩალა.

ეს ყველაფერი პირველადი და კულუარული ინფორმაციაა, დეტალებს უახლოეს დღეებში დავაზუსტებთ და ახალი გუნდის თაობაზე დაწვრილებით ინფორმაციას ოპერატიულად მოგაწვდით.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ჰერბერტ ცანკერი

გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

# ჰერბერტ ცანკერი მგლებში?

**დიახ,** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ყოფილი თავკაცი, გერმანელი ჰერბერტ ცანკერი, შესაძლოა, ზუგდიდის „მგლებში" დაინიშნოს.

ახლა „მგლებს" ფინანსურად ძალიან უჭირს, მაგრამ არის ვერსია, „მგლები" ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ „ბაიასთან" გაერთიანდეს.

გეცოდინებათ, „ბაიას" ბავშვებმა უკვე გაითქვეს სახელი, სკოლბურთში საქართველოში შარშან პირველები გახდნენ, რის შემდეგაც ბარსელონაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე გავიდნენ და იქ მხოლოდ ფინალში წააგეს.

ამავდროულად, „ბაია" წლეულს პირველ ლიგაში გადავიდა და „მგლებისგან" განსხვავებით, ფინანსურად არ უჭირს.

და თუ გაერთიანება მოხდება, როგორც შევიტყვეთ, „ბაიას" ხელმძღვანელობას „მგლების" ამჟამინდელ თავკაც ბესიკ შეროზიას ნაცვლად სწორედ ცანკერის დანიშვნა განუზრახავს.

ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**


ბესიკ შეროზია

ბადრი კეთილაძის ფოტო

# საუეფასთასო ზესტაფონი

**საქართველოს** თასის მფლობელი „ზესტაფონი" უეფას თასისთვის ურეკში ემზადება. ამასობაში კი, ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე სამშენებლო სამუშაოები გრძელდება.

გეცოდინებათ, ივნისის ბოლოს ზესტაფონში უეფას კომისიას ელიან, რომელმაც უნდა შეისწავლოს სტადიონი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სადღეისოდ, ფაქტობრივად, დასრულებულია მეტალოკონსტრუქციათა მონტაჟი და ბეტონის კონსტრუქციების ჩამოსხმა. სამუშაოების მომდევნო ეტაპზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებაა გათვალისწინებული — სკამებს ზესტაფონში ხვალისთვის ელიან.

მანამდე კი მთავრდება ტრიბუნების შემზადება სკამების დასამონტაჟებლად — ტრიბუნები და მეტალოკონსტრუქციები უკვე ილებება.

ფაქტობრივად, დასრულებულია ვიპ-ლოჟაც, გარემონტებულია საკომენტატორო ჯიხურები, დასავლეთ ტრიბუნის ქვეშ განთავსდა პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, ტელე-სტუდია და მედიის სამუშაო დარბაზი.

თითქმის მზადაა სპორტული კომპლექსიც, რომელიც აღმოსავლეთ ტრიბუნის უკან მდებარეობს. გასახდელები გარემონტდა, კეთილმოეწყო დოპინგ-კონტროლის, უეფას დელეგატისა და მსაჯთა ოთახები, რემონტდება გუნდთა მინდორზე გასასვლელი გვირაბი...

„ზესტაფონის" პრესსამსახურის ცნობით, სასიამოვნო სიურპრიზი გამოდგა ზესტაფონელი ბიზნესმენის ინიციატივა — მან საკუთარი სახსრებით ითავა სტადიონთან მდებარე აუზის შენობის ფასადის გარემონტება-გალამაზება.

ისიც ითქვა, რომ ქალაქის მუნიციპალური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის მონაკვეთი განახლდება და სტადიონის სიახლოვეს განთავსდება ავტოსადგომი.

ამ სამუშაოების დაწყება დღეიდან იგეგმება...

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ სტადიონის მესაკუთრის საკითხი კვლავაც ღიაა, ზესტაფონში დიდი ამბები ხდება.

**ქახა შალამბერიძე**









*ს.ქ. „ზესტაფონის" პრესსამსახურის ფოტოები*

# ბარბაქაძემ აზერბაიჯანს ფინალი გაუფორმა



**წარმატებით** მიიწევს C დივიზიონის ჩემპიონობისკენ აზერბაიჯანის ნაკრები. დღეს ჩვენი მეზობლები ფინალში მოლდოვის ნაკრებს გაეჯიბრებიან და თუკი დაამარცხებენ, ევროპის უსუსტეს გუნდებს თავზე წამოასხდებიან, რაც B დივიზიონში ალზევების საწინდარი იქნება.

აზერბაიჯანელთა ამბავი იმად გვაინტერესებს, რომ მათ ნაკრებში დავით ბარბაქაძე თამაშობს, რომელიც თავის დროზე, ბაქოს სხვადასხვა გუნდში ილვწოდა და იქაურებმაც ნატურალიზაცია შესთავაზეს. რაკი დავითი საქართველოს ნაკრების კანდიდატიც კი არ იყო, გადაწყვიტა, აზერბაიჯანის მოქალაქეობა მიეღო და ამ ქვეყნის ნაკრებს საერთაშორისო მატჩებში დახმარებოდა.

ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ ბარბაქაძე ლამის მარტო აგებინებს ჩვენს მეზობლებს C დივიზიონის „პრომოუშენ კაპ"-ად წოდებულ ტურნირს, რომელშიც ევროპის 8 უსუსტესი ნაკრები მონაწილეობს — სან მარინო, გიბრალტარი, შოტლანდია, უელსი, მალტა, ანდორა, მოლდოვა და თავად აზერბაიჯანი.

ტურნირს შოტლანდიის დედაქალაქი ედინბურგი მასპინძლობს და საქმე უკვე ფინალამდეა მისული. გასული პარსკევის ნომერში ჩვენ აზერბაიჯანელთა საწყისი ორი მატჩის შესახებ გამცნეთ, ახლა კი მომდევნო ორზე ვილაპარაკოთ. აზერბაიჯანელებს ჯგუფში ბოლო შეხვედრა ჰქონდათ დარჩენილი, რომლის მოგების შემთხვევაშიც პირველ ადგილს ინაღდებდნენ და ნახევარფინალშიც მასპინძელ შოტლანდიას ირიდებდნენ.

მატჩი დაძაბული გამოდგა, გადამწყვეტი მეოთხედის წინ ფრე იყო, მაგრამ ბოლოს მოლდოველებმა იმარჯვეს და აზერბაიჯანელები ჯგუფში მეორე ადგილს დააჯერეს. დავით ბარბაქაძემ 39 წუთი ითამაშა და 18 ქულასათნ ერთად, 14 მოხსნაც მოიხვეჭა, მაგრამ თავისიანებს მაინც ვერ უშველა.

ნახევარფინალში აზერბაიჯანი შოტლანდიას შეეფეთა, მაგრამ ბარბაქაძისა და ფუად ნიფთალიევის წყალობით გამარჯვება მასპინძლებს ხელიდან გამოჰგლიჯა. ქართველმა თავდამსხმელმა 37 წუთი ითამაშა, 20 ქულას და 8 მოხსნაც მიაყოლა და აზერებს ფინალის საგზური გაუნაღდა.

ბოლო მატჩამდე ბარბაქაძე ედინბურგული ტურნირის ბომბარდირი იყო, თუმც სანმარინოელმა ანდრეა რასკიმ გადაუსწრო და საშუალოდ 21 ქულით ქართველი ფორვარდი მეორე ადგილზეა. სამაგიეროდ, ბარბაქაძე მეფარეებში გაპირველდა და ოთხ მატჩში საშუალოდ მოხვეჭილი 11 მოხსნით იწონებს თავს.

მეორე ნახევარფინალში მოლდოვამ იოლად დაამარცხა ანდორა და C დივიზიონის ტიტულისთვის დავით ბარბაქაძის აზერბაიჯანს შეებრძოლება.

**ირაკლი პერტაია**

# ჯერ ოჯახი, მერე გუნდი

*საქართველოს ნაკრების ფორვარდი ვლადიმერ ბოისა ბერძნულ „არისს" დაშორდა და ახლა სლოვენიაში ოჯახთან ერთად ისვენებს. მას ელინურ კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა სხვადასხვა ვარიანტების ძიებაშია. ლიუბლიანაში ჩასულ ბოისას სლოვენიელი ჟურნალისტები შეეხმიანენ და მომავალ გეგმებზე მოკლედ გაესაუბრნენ. ჩვენ კი ამ ნაუბარს ინტერნეტში წავაწყდით და გადმოვაქართულეთ.*

— რას იტყვით „არისში" გატარებულ სეზონზე?

— სამწუხაროდ, საბერძნეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა ვერ მოვახერხეთ და ევროლიგის საგზურს ველარ დავეპატრონეთ. ეს, რა თქმა უნდა, დიდი იმედგაცრუება იყო, რადგან გასულ ევროლიგაში „არისმა" პირველი ჯგუფური ეტაპის დაძლევა მოახერხა და გულშემატკივრებიც მომავალ სეზონს მეტი იმედით ელოდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ევროლიგის მიღმა დავრჩით, ჩვენზე აუგი არავის დასცდენია. „არისს" ყველაზე გულთბილი და ლოიალური ფანები ჰყავს მთელ საბერძნეთში.

**— ახლა რას აპირებთ, მომავალ სეზონში სად ითამაშებთ?**

— პირველ რიგში, უნდა დავისვენო. ოჯახში ყოფნა მომენტარა და ჯერ ლიუბლიანაში ვიქნები. ამის შემდეგ კლუბების წინადადებებს განვიხილავ და საუკეთესოს ამოვარჩევ. მაქვს რამდენიმე შემოთავაზება, მაგრამ ჯერ კონკრეტულად არაფრის თქმა არ შემიძლია. რაც შეეხება „არისს", ამ კლუბში თავს კარგად კი ვგრძნობდი, მაგრამ არა მგონია, კარიერა იქ გავაგრძელო.

**— ისევ „ოლიმპიში" ხომ არ გადმოხვალთ?**

— არა, მე რაში გჭირდებით, მარკო მილიჩი ხომ გყავთ. მან წლეულს ძალიან მაგრად ითამაშა.

**— მილიჩი თქვენს პოზიციაზე კი თამაშობს, მაგრამ ვფიქრობთ, ერთადაც საკმაოდ სარგებლიანები იქნებით „ოლიმპიასთვის"...**

— არ ვიცი, ვნახოთ, რა იქნება. ჯერჯერობით არც ერთ კლუბს არ გავრიგებივარ.





# ქართული ხელბურთი ცხადაძის მკლავის იმედზე რჩება

## მსხვილიძე ნაკრებს ვერ დაეწია

**საქართველოს** ხელბურთის ფედერაცია რიგგარეშე არჩევნებისთვის ემზადება. ხელბურთის ფედერაციის ვაკანტურ პოსტს 29 ივნისს ახალი პრეზიდენტი დაიკავებს. არჩევნებში 19 ხმოსანი სუბიექტი მიიღებს მონაწილეობას. აქედან ერთი ხმა ვეტერან ხელბურთელთა კავშირზე მოდის, რომელიც მალე დაარსდება. თავიდან ისე ჩანდა, რომ ფედერაციის პოსტის დასაკავებლად გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძე და ცნობილი მკლავჭიდელი ზაურ ცხადაძე იბრძოლებდნენ, თუმც ჩვენი ინფორმაციით, 29 ივნისის არჩევნებში კანდიდატი მხოლოდ ზაურ ცხადაძე იქნება. ცხადაძე ახლა ბიზნესითაა დაკავებული და სურს, რომ ქართულ ხელბურთს კრიზისის დაძლევაში დაეხმაროს. თქმა არ უნდა, ფინანსები ერთ-ერთი დიდი პრობლემაა და ამიტომაა, ჩვენს ჩემპიონატში მხოლოდ 4 გუნდი რომ თამაშობს, მაგრამ უმთავრესი დაბრკოლება მაინც ქართულ ხელბურთში არსებული დაპირისპირებაა. ამიტომაც ხშირად უფულობაზე მეტად ცუდი სამსახური ერთმანეთის მიმართ შუღლს გაუწევია. არ შეიძლება, საკუთარი ამბიციები საერთო ინტერესების წინააღმდეგ გამოიყენო. ასე რომ, ახალ პრეზიდენტს საქმის დაწყება აქედან მოუწევს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ პრიორიტედად სწორედ ეს მიგვაჩნია. ვნახოთ, 29 ივნისიდან ქართული ხელბურთი ახალ დინებას გაუყვება...

მანამდე კი საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მომზადებას განაგრძობს. ნაკრები ბელარუსში იყო და მასპინძლებთან და ლატვიასთან ორი ამხანაგური თამაში გამართა. ჩვენებმა ბელარუსთან შეხვედრა წააგეს, თუმც არც ანგარიში და არც ლატვიასთან ჩატარებული მატჩის შედეგი ხელბურთის ფედერაციაში არ იციან, რადგან ბელარუსში ქართულ დელეგაციასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ნაკრები დღეს უკვე თბილისში იქნება და დაწვრილებით ინფორმაციასაც მოგახსენებთ. ბელარუსში ის შემადგენლობაა წაყვანილი, რომელიც 4 ივნისს ვენეციაში გაემგზავრება და მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ერთადერთი დანაკლისი ისლანდიურ „სტიარნარის" მოთამაშე რატი მსხვილიძეა. მას აეროპორტში შეექმნა პრობლემები, თვითმფრინავმა ჩამოფრენა დააგვიანა, ბელარუსში ჩასვლა ვერ მოახერხა და ახლა თბილისშია. ასევე არ არის ნაკრებთან სერგო დათუკაშვილი, ვინც სლოვენიურ „გორენიესთან" გააფორმა კონტრაქტი და ახლა შვედეთშია ოჯახთან ერთად. სერგოს კონტრაქტი გერმანულ „ლიუბეკესთან" ავტომატურად გაუქმდა, მას მერე რაც ეს გუნდი ბუნდესლიგიდან გავარდა. ბუნდესლიგა მსოფლიოში წამყვანი ჩემპიონატია და ცუდია, რომ იქ ქართველი აღარ ითამაშებს, თუმც აქ მეორე მომენტიცაა — „გორენიე" საკმაოდ ძლიერი გუნდია და ჩემპიონთა ლიგაში გამოდის, დათუკაშვილს ხელბურთის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში მოუწევს ძალების მოსინჯვა, რაც უდავოდ მისასალმებელია. და ერთიც — იმის გამო, რომ სერგოს ასაკი სტუდენტურ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის საშუალებას არ აძლევს, ის ნაკრებს ვენეციაში ვერ დაეხმარება და უკვე შემდეგ მოსამზადებელ ეტაპზე შეუერთდება ბიჭებს.

**ლექსო მაისურაძე**



რატი მსხვილიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბალახის ახალი ფერი: დავიდ ფერერი

**კაცები**
ჰერტოგენბოში. ჰოლანდია. ბალახი
საპრიზო 370 000 ევრო

**ნახევარფინალი**

**დავიდ ფერერი (1, ესპანეთი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 7:6 6:4; მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) — გილერმო კანასი (7, არგენტინა) 3:6 6:0 6:4**

**ფინალი**

**ფერერი — ჟიკელი 6:4 6:2**

წლავანდლამდე ესპანელებს ბალახზე ტურნირი 1972 წლის შემდეგ არ მოეგოთ. ბოლოს ეს ანდრეს ხიმენომ ისტბურნში გააკეთა და იქიდან მოყოლებული პირინელებს მწვანედ მობიბინე კორტებზე ხეირიანი არაფერი გამოსდიოდათ.

მაგრამ აგერ ზედიზედ მეორე კვირაა, ესპანელი ბალახზე ტიტულს იგებს — 7 დღის წინ ეს რაფაელ ნადალმა ქუინზში გააკეთა, აგერ შაბათს კი დავიდ ფერერმა ჰოლანდიურ ჰერტოგენბოშში იხეირა.

ფერერისგან საერთოდ ძალიან მოულოდნელია ბალახზე ასეთი რიგიანი ჩოგნაობა. ეს ესპანელი ხომ წმინდად თიხნარის სპეციალისტად ითვლებოდა და მხოლოდ შარშან დაგვანახა, რომ ჰარდზეც ეხერხება ნორმალურად ჩოგნის ქნევა. თუმც როგორც აღმოჩნდა, ფერერი ბალახზეც ანგარიშგასაწევი ძალა ხდება — ასე განსაჯეთ, ჰოლანდიაში პირინეელს არც ერთი სეტი არ წაუგია. მეტიც, ტურნირზე მას მხოლოდ ერთხელ აართვეს მოწოდება. ჰოდა, უიმბლდონზეც თუ ასე სტაბილურად იჩოგნავა, დიდი შანსია, ხმაურიან სენსაციასაც გამოჰკრას ხელი.

ფინალში კი ფერერი ადვილად მოერია მარკ ჟიკელს. არადა, აქამდე 31 წლის ფრანგს ორივე ურთიერთშეხვედრა ჰქონდა მოგებული. თუმც ამჯერად ჟიკელმა ხირიანი ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქეს და პირწმინდად დამარცხდა.

ფერერმა კი წლეულს თავისი მეორე ტიტული გაინაღდა — პირველი კი თვენახევრის წინ მოინაგრა, როცა მშობლიურ ვალენსიაში იპირველა.

**კაცები**
ნოტინჰემი. ბრიტანეთი. ბალახი
საპრიზო 370 000 ევრო

**ნახევარფინალი**

**ივო კარლოვიჩი (4, ხორვატია) — გაელ მონფილსი (8, საფრანგეთი) 7:6 7:6; ფერნანდო ვერდასკო (3, ესპანეთი) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 6:3 6:1**

**ფინალი**

**კარლოვიჩი — ვერდასკო 7:5 6:7 7:6**

ესპანელები ძალიან ახლოს იყვნენ კიდევ ერთ საბალახო ტიტულთან — ფერნანდო ვერდასკოს თითქმის აღარაფერი აკლდა ნოტინჰემში ჩემპიონობასთან, მაგრამ საბოლოოდ მაინც ფარ-ხმალი დაყარა ივო კარლოვიჩთან.

ისე, უნიკალური ფინალი გამოვიდა — შაბათს ნოტინჰემში მთელი დღე წვიმდა და ამის გამო ორგანიზატორებს სატიტულო მატჩის დარბაზში, თანაც ჰარდზე ჩატარება მოუწიათ. აბა, კვირისთვის მატჩს ვერ გადაიტანდნენ, რადგან კარს უიმბლდონია მომდგარი და ჩოგბურთელებიც ლონდონში უნდა გაფრენილიყვნენ. ჰოდა, ფინალიც ამიტომ გათამაშდა დარბაზში. ასეთი რამ ტურნირის ისტორიაში ერთადერთხელ, 1997 წელს მოხდა და მაშინ გრეგ რუსედსკიმ იჩემპიონა.

კარლოვიჩმა კი დიდი წვალებით, მაგრამ მაინც შეძლო ტიტულის დაცვა. აყლაყუდა ხორვატისთვის ხომ სულერთია, ბალახზე უწევს თამაში თუ ჰარდზე. თავიდანვე რომ ჩართო თავისი ყუმბარმტყორცნი, მთელი მატჩის განმავლობაში აღარ გაჩერებულა და აკი ბოლოსთვის 29 ეისიც მოუგროვდა. სწორედ ამან მოაგებინა ბალკანელს, თორემ მშვენივრად მოთამაშე ვერდასკოს ვერაფრით მოერეოდა.

ასეა თუ ისე, კარლოვიჩმა მესამე სეტის ტაიბრეიკზე მაინც გატეხა მეტოქე — როგორღაც ერთი ქულა აართვა მოწოდებაზე და მერე ეისი ეისს მიაყოლა, რითაც წლეულს თავის პირველი ტიტული გაინაღდა.

**ქალები**
ისტბურნი. ბრიტანეთი. ბალახი
საპრიზო 600 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**აგნეშკა რადვანსკა (4, პოლონეთი) — მარიონ ბარტოლი (2, საფრანგეთი) 7:5 6:3; ნადია პეტროვა (8, რუსეთი) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:3 6:3**

**ფინალი**

**რადვანსკა — პეტროვა 6:4 6:7 6:4**

აგნეშკა რადვანსკა ზედიზედ მეორე სლემტურნირს ხვდება კარგ ხასიათზე — ოთხი კვირით ადრე მან ზედ „როლან გაროსის“ წინ მოიპოვა ტიტული, როცა სტამბოლში ელენა დემენტიევა მიჩოგნა. პოლონელმა იგივე გაიმეორა უიმბლდონის წინაც და ისტბურნში იჩემპიონა, თანაც ფინალში ისევ რუსი დასცა.

ამჯერად ნადია პეტროვას ჯერი დამდგარიყო, რომელიც თავის პირველ საბალახო ფინალს თამაშობდა. სწორედ ამიტომ რუსმა თავი გამოიდო და ნამდვილი ომი გაუმართა პოლონელს, მაგრამ რადვანსკა ამ გამოწვევას ღირსეულად შეხვდა და უფრო გამოცდილი მეტოქე მაინც გატეხა. მესამე სეტში, როცა ანგარიში 4:4 იყო, პოლონელმა რის ვაივაგლახით შეძლო მოწოდების შენარჩუნება და ეტყობა, ამან დამატებითი მოტივაცია მისცა, რადგანაც პეტროვა იქვე დააბრეიკა და მეოთხე საკარიერო ტიტულიც დაისაკუთრა.

რადვანსკა ფინალებში კვლავაც დაუმარცხებელი რჩება — ოთხჯერ ითამაშა სატიტულო მატჩებში და ოთხჯერვე გამარჯვებული გამოვიდა, რაც მის მყარ ფსიქოლოგიურ მომზადებაზე მიუთითებს.

**ქალები**
ჰერტოგენბოში. ჰოლანდია. ბალახი
საპრიზო 175 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**დინარა საფინა (3, რუსეთი) — ელენა დემენტიევა (1, რუსეთი) 6:3 6:2; ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) — ალინა ბონდარენკო (8, უკრაინა) 6:2 6:4**

**ფინალი**

**ტანასუგარნი — საფინა 7:5 6:3**

ფინალის წინ ყველაფერი დინარა საფინას სასარგებლოდ მეტყველბდა — ბოლო 16 მატჩიდან 15-ში ემარჯვა, კორტზე მეტოქეზე ორჯერ ნაკლები დრო ჰქონდა გატარებული და შესაბამისად, ნაკლებად გადაღლილი იყო. სხვა თუ არაფერი, რუსი კლასითაც აღემატებოდა მეტოქეს, მაგრამ ტამარინ ტანასუგარნმა ყველა პროგნოზის საპირისპიროდ მაინც შეძლო რუსის დამარცხება.

31 წლის ვეტერანმა ტაილანდელმა უდავოდ კარიერის საუკეთესო კვირა ჩაათამაშა, რადგანაც ჰოლანდიაში თავისზე გაცილებით ძლიერ მეჩოგნეებს გამოუყვანა წირვა — აზიელის მსხვერპლთა რიცხვში აღმოჩნდნენ მასპინძელი მიქაელა კრაიჩეკი, ამერიკელი ეშლი ჰარკლროუდი, უკრაინელი დები ბონდარენკოები და აგერ ფინალში საფინა.

რუსს შეუძლია საკუთარ თავს დააბრალოს ყველაფერი, რადგანაც პირველ სეტში 5:4 მიჰყავდა და აწვდიდა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი გეიმი დათმო და ტაილანდელს დაწინაურების საშუალება მისცა. ამის შემდეგ ტანასუგარნი უკვე მთლიანად აკონტროლებდა მატჩის ვითარებას და მეორე პარტიაში კიდევ უფრო იოლად იხეირა, რითაც მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი საკარიერო ტიტული მოიპოვა.

**ბაჩა ლომაშვილი**


დავიდ ფერერი


როჯერ ფედერერი

# საუიმბლდონო რეიტინგი

**წლის** მესამე სლემტურნირიც კარს მოგვადგა — დღეს სრულიად ინგლისის ბალახის ჩოგბურთისა და კრიკეტის კლუბის კორტებზე უდიდესი საჩოგბურთო ბატალიები დაიწყება და თუ მეჩოგნეებს კაპრიზებით აღსავსე ლონდონურმა ამინდმა აცალა, ორი კვირის თავზე ჩემპიონის ვინაობაც გვეცოდინება.

მოგეხსენებათ, უიმბლდონი საკმაოდ სპეციფიკური ტურნირია — საბალახო სეზონი ხომ ძალიან მოკლეა, რის გამოც ყოველწლიურად კლებულობს იმ ჩოგბურთელთა რაოდენობა, რომელთაც ამ საფარზე ხეირიანად თამაში ეხერხებათ. ამის მიუხედავად, უიმბლდონი კვლავაც რჩება ყველაზე პრესტიჟულ საჩოგბურთო ტურნირად და ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა.

ამჯერად ასე მოხდა, როცა ჩვენმა დასავლელმა კოლეგებმა არ დაიზარეს და ბალახზე მეტ-ნაკლებად ხეირიანად მოთამაშე ჩოგბურთელთა რეიტინგი შეადგინეს — აქ მეჩოგნეები შეიყვანეს არა იმის მიხედვით, თუ რა ადგილზე არიან დღეისთვის რეიტინგში, არამედ ბოლო სეზონებში თუ რა დამსახურებები აქვთ ბალახზე თამაშისას.

ამისთვის სპეციალური ფორმულა და ქულების სისტემაც იქნა შემუშავებული. ჩოგბურთელებს ქულები ძირითადად ბოლო სამ სეზონში ბალახის ტურნირებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით დაეწერათ.

მოკლედ, მეჩოგნეებზე ქულები ასე ნაწილდება:

2007 წელი. მხოლოდ უიმბლდონი: გამარჯვებული — 10 ქულა, ფინალისტი — 6 ქულა, ნახევარფინალისტი — 4 ქულა, მეოთხედფინალისტი — 2 ქულა.

2006 წელი. უიმბლდონი, ქუინზი და ჰალე: გამარჯვებული — 5 ქულა, ფინალისტი — 3 ქულა, ნახევარფინალისტი — 2 ქულა, მეოთხედფინალისტი — 1 ქულა.

2005 წელი. უიმბლდონი, ნოტინჰემი, ჰერტოგენბოში, ნიუპორტი: გამარჯვებული — 3 ქულა, ფინალისტი — 2 ქულა, ნახევარფინალისტი — 1 ქულა.

და ერთი დამატებითი ქულა ყველას, ვინც 2001-04 წლებში უიმბლდონზე ნახევარფინალში და ანაც ფინალში უთამაშია.

ქულების ასეთი დათვლის სქემით ის მეჩოგნეები გამვლინდნენ, რომელბიც ბოლო წლებში ბალახზე თამაშისას სტაბილურობით გამოირჩეოდნენ და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ:

1. როჯერ ფედერერი — 25 (ქულა); 2. რაფაელ ნადალი — 14; 3 ენდი როდიკი — 8; 4. ნოვაკ ჯოკოვიჩი — 7; 5. რიშარ გასკე — 5; 6. მარკოს ბაღდატისი — 5; 7. ივო კარლოვიჩი — 5; 8. ლეიტონ ჰიუიტი — 4; 9. დავიდ ფერერი — 3; 10. დავიდ ნალბანდიანი — 3; 11. ფილიპ კოლშრაიბერი — 3; 12. ფაბრის სანტორო — 3; 13. იონას ბიორკმანი — 3; 14. ჯეიმს ბლეიკი — 2; 15. ტომაშ ბერდიხი — 2.

ალბათ არავისთვის გასაკვირი არაა, რომ ფედერერი სიის სათავეშია — შვეიცარიელი უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონია და არც ჰალეში დაუკლია რამე, სადაც ბოლო 6 წელიწადში 5-ჯერ იჩემპიონა.

არც ნადალის მეორე ადგილია გასაკვირი — ერთი კვირის წინ ქუინზში ტიტული მოიგო და უიმბლდონზეც ზედიზედ ორ ფინალში ითამაშა. ასე რომ, ესპანელი ტყუილად არ ითვლება ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად.

როდიკის მესამე ადგილი კი უფრო ძველი დამსახურებებისთვისაა, თუმც ენდი-ბიჭს წლეულს ძალიან კარგი სათამაშო ბადე შეხვდა და თავს მოიკლავს უიმბლდონის ფინალში გასასვლელად.

ამ სიაში ახალი სახე მხოლოდ დავიდ ფერერია, რომელმაც ნამდვილი ფურორი მოახდინა ჰერტოგენბოშის მოგებით. ცოტა თუ წარმოიდგენა, რომ ეს ესპანელი ბალახზე ასე ხეირიანად თამაშს შეძლებდა, მაგრამ ფერერი სულ უფრო უნივერსალურ ჩოგბურთელად ყალიბდება და უკვე ყველა საფარზე საფრთხეს წარმოადგენს.

თქვენ კი კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი სიას და საკუთარი დასკვნები გამოიტანეთ — ისე კი დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ უიმბლდონის დასკვნით და ყველაზე გადამწყვეტ ეტაპებზე აქ ჩამოთვლილთა აბსოლუტური უმრავლესობა ითამაშებს.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ცრუმენტელა ცხენები

**მინდოდა,** საბავშო სპორტისათვის მიძღვნილი ლიტერატურის მნიშვნელობაზე საუბრით დამეწყო ეს მცირე წერილი, მაგრამ ის მშვენივრად დასტამბული საყმაწვილო წიგნი, რომელსაც სათაურად „ცხენები“ აწერია (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2008), უშუალოდ სპორტულ-აღმზრდელობითი ამოცანებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. „მშობლებისა და მასწავლებლებისათვის“ გამიზნული წინათქმაში ლაკონიურად და ნათლად არის გადმოცემული „მცირე შემეცნებითი ბიბლიოთეკის“ სერიის მიზნები და სპეციფიკა, მისი კავშირი სერიასთან „მე ვსწავლობ კითხვას“. დიახ, აქ ყველაფერი დამაჯერებლადაა ნათქვამი და არც ჩვენ გვაეჭვებს გამომცემლობის განმარტება: „კონცეფცია, რომელიც ამ ორ სერიას აერთიანებს, წერა-კითხვის სწავლების უახლეს მეცნიერულ გამოკვლევებზეა დაფუძნებული და მოსწავლეებში კითხვის ტექნიკის გაუმჯობესებისა და კითხვის ჩვევის გამომუშავებას ისახავს მიზნად“.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, რომელსაც ამ სერიით გამოდის თარგმნილი წიგნი (ამჯერად სწორედ და მხოლოდ ცხენებს ვგულისხმობთ), მთავარი ხომ ისაა, რამდენად ადეკვატურადაა გადმოცემული „შესამეცნებელი“ მასალა ქართული ლექსიკით, ფრაზეოლოგიით, სწორადაა თუ არა ქართულად გადმოტანილი, დასახელებული ის თვისებები, საგნები, მოქმედებანი, რომლებიც პირუტყვის აღწერას, ცხენისა და ადამიანის ურთიერთობას უკავშირდება? არა სჯობია, რომ „კითხვის სწავლასთან“ ერთად ნამდვილი ცოდნა შესძინო ბავშვს? „შემეცნებითიო — სწორედ ასე განუსაზღვრავს ამ სერიის წიგნები გამომცემლობას.

სინანულით უნდა ვთქვა, რომ ეს მოლოდინი და სურვილი არ მართლდება. ჩემი აზრით, ამ წარმატებული გამომცემლობის ხსენებულ, კეთილი მიზნებით განზრახულ ნაშრომში მეტყველად აისახა ის გაუცხოება, რომელიც ისტორიულად ხალხის გამორჩეული ცხოველს მიმართ ახალი დროის საქართველოშია დამკვიდრებული, და რასაც გასული საუკუნის 30 წლებშიც მიხეილ ჯავახიშვილი დიდი გულისტკივილით მიგვანიშნებდა.

რამდენიმე მაგალითს შემოგთავაზებთ ჩემი სიტყვების გასამართლებლად (აქვე ერთ ილუსტრაციასაც კი დავიმოწმებ): „ლაგამის ტარებას ჯერ კიდევ პატარა კვიცს აჩვევენ: (21-ე გვ). არადა ნახატზე ლაგამი არსად არაა. აქ დახატულია უკვე გამოსაქნელად მოწიფული კვიცი (და არა „პატარა“!), რომელსაც ავშარა (ულაგმო აღვირი) უკეთია და მხედნელს მიჰყვება. ამ სურათს უფრო შეეფერებოდა წარწერა: „ავშარით კვიცი უკვე დაჰყვება მხედნელს...“, ან სხვა ამგვარი შინაარსის შემცველი წინადადება. თანაც „ლაგმის ტარება“. (ცხენის მიერ) ქართულად უაზრობაა! იმავე გვერდზე სხვა შეუსაბამობაცაა: „ცხენი იმ მხარეს მიტრიალდება, რომელ აღვირსაც დაქაჩავს მწვრთნელი“. ცხადია, აქ სადავეებზეა ლაპარაკი, ცხენს ერთი აღვირი უკეთია, რომელსაც აქვს ორი სადავე („ტოტი“, ლაგმის ტარი“ — ქართულში მის კილოებში ცხენოსნური ლექსიკა ერთობ მდიდარი). წიგნის ბოლოს დართულ ლექსიკონში წერია: „ფაფარი — ცხენის თავზე არსებული გრძელი თმა) 30-ე გვ.). არადა მე-17 გვ-ის ნახატზე კარგად ჩანს ფაფრის „ადგილმდებარეობა“. „ცხენის ჯირითს დოლი ეწოდება“, — ვკითხულობთ 27-ე გვ.-ზე. 23-ე გვ-ზე კი ისეთი სენსაციური ცნობაა მოწოდებული, ღმერთმა არ ქნას, რომ იგი ცხენოსნობის დღევანდელმა მოყვარულებმა, საცხენოსნო ტურიზმის ბიზნესში ჩართულმა ახალბედა მწვრთნელ-მეპატრონეებმა დაიჯერონ, — „საშინლად გაუცრუვდებოდათ ვარაუდი! აი, ეს ინფორმაციაც, რომელიც ცოტათი მაინც რომ მართალი იყოს, მსოფლიო მეცხენეობას შეძრავდა: „ცხენებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ნალებს 6-8-ჯერ უცვლიან“. ჰო, სანაშენო ფაშატებს, აჯილღებს, საერთოდ, არც ჭედავენ, მაგრამ სპორტში, სამეურნეო ჯაფაში ჩაბმულ ცხენები 2 თვეში ერთხელ მაინც უნდა დაიჭედონ. ცხენი უქმადაც რომ იდგეს, ფლოქვი ეზრდება და ნალების აყრა, ფლოქვის გაწმენდა და ხელახლა დაჭედვა აუცილებელია. ახლა ნალიცა და მისი ლურსმანიც (ყაირი) ძნელი საშოვნელია, არც პროფესიონალი ნალბანდები არიან ბევრნი და ამიტომაც, მით უმეტეს უგულო ან უგერგილო პატრონის ხელში, ეს აუცილებელი პირობა ჩვენში ყველგან როდი სრულდება, მაგრამ ამის გამო ყალბ ცნობებს ნუ შევაპარებთ მკითხველს. ამით შევწყვეტ მაგალითების მოყვანას, რომლებსაც, სამწუხაროდ, ყოველ გვერდზე შევხვდებით.

წიგნის ავტორია ანა მილბურნი (პირველად გამოცემულა ლონდონში 2004 წელს), როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ, ERRERE HUMANUM EST („შეცდომა ადამიანური რამაა“) და ეგებ შეცდომების წილი ინგლისური ორიგინალიდანაც მოდიოდეს, მაგრამ ქართველმა ავტორებმა, რომელთა ღვაწლი საკმაოდ ბუნდოვნადაა აღნიშნული („ქართულ გამოცემაზე მუშაობდნენ...“), რატომ არ მიიჩნიეს საჭიროდ, რომ ქართულ ენაზე არსებულ საცხენოსნო ლიტერატურაშიც ჩაეხედათ?! შეიძლება ბევრი წიგნი არც გვქონდეს, მაგრამ რაცაა, სავსებით საკმარისი იქნებოდა ამ შეცდომების შესამჩნევადაც და გასასწორებლადაც. არათუ სპეციალური ლიტერატურა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (თუნდაც 1986-ში გამოცემული ერთტომეულის) გამოყენებაც უდიდეს სამსახურს გაუწევდა „ცხენების“ ქართულ ვარიანტზე მომუშავე ქალბატონებს. თუ საბას „სიტყვის კონასაც“ დაიხმარებდნენ, უფრო გაუადვილდებოდათ საქმე. ცხადია, საბასთან რომ წაიკითხავ „ფაფარი ცხენის კისრის თმა“, ან სიტყვა „თმის“ ბუდეშიც ნახავ (ეწოდების) „ცხენთა ქედთასა — ფაფარი და კუდთასა ძუა“), ზემოთ ჩვენს წერილში დამოწმებული განმარტებას თავადვე დაიწუნებ. მაგრამ მათ რატომღაც ეს გზა არ აურჩევიათ. არადა, ნამდვილად ღირდა თავის შეწუხება. თორემ რა გამოვიდა? პოლიგრაფიულად სანიმუშოდ აღკაზმული და დაჭედილი „ცხენები“ პატარებსაც მოატყუებენ და დიდებსაც.

**ნოდარ ეგრალიძე**





სტივენ სტამკოსი

# სტივენ სტამკოსი: ახალი ელვა ლეკავალიეს გვერდით

## მონრეალი საუკუნოვანი იუბილესთვის ემზადება

**გასულ** უქმეებზე ოტავაში მორიგი დრაფტი გაიმართა, სადაც ნჰლ-ის კლუბებმა მსოფლიოს უნიჭირესი ჰოკეისტები დაინაწილეს. თუმც კანადის დედაქალაქში ამის გარდაც ბლომად საინტერესო ამბავი მოხდა — დრაფტზე ხომ ყველა გუნდის გენერალური მენეჯერები იყრიან თავს და ასეთ დროს თითქმის ყოველთვის ჰოკეისტთა გაცვლა-გამოცვლა იწყება ხოლმე. მაგრამ სანამ ტრეიდებზე ვისაუბრებდეთ, ისევ დრაფტს მივუბრუნდეთ.

მოლოდინისამებრ, არჩეულ ტალანტთა შორის კანადელები მრავლობდნენ — პირველ წრეში არჩეული 30 ჰოკეისტიდან 18 კანადელი იყო. დანარჩენი 12 მოთამაშიდან კი 7 ევროპელი გახლდათ და 5-იც — ამერიკელი.

პირველ ნომრად სტივენ სტამკოსი აიყვანეს — აქ სიურპრიზი არ ყოფილა, რადგანაც ამ ბიჭს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და უკვე მომდევნო სეზონში ელიან მის ლიგაში გამოჩენას. ამ არჩევანით ძალიან კმაყოფილია „ტამპაც“, რომელიც მიხვდა თუ არა რომ პლეი ოფში ვერ გადიოდა, ბევრის აზრით გამიზნულად ჩააგდო გასული სეზონის დასკვნითი ნაწილი, რათა დრაფტის პირველი ნომერი მოეპოვებინა და სტამკოსი დაეთრია. „ელვების“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ სტამკოსი გვერდში ამოუდგება ვენსან ლეკავალიეს და სულ მალე გუნდს „დალასში“ გაშვებულ ბრედ რიჩარდსის წასვლით გამოწვეულ უზარმაზარ ხვრელს ამოუვსებს.

მომდევნო ოთხი არჩევანი კი მცველებზე დაიხარჯა — საერთოდ, წლევანდელი დრაფტი მართლაც მდიდარი გახლდათ კვალიფიციური უკანახაზელებით. მეორე ნომრად „ლოს ანჟელესმა“ დრიუ დოუტი აირჩია, რომელიც ბევრი სპეციალისტის აზრით, უკვე მზად არის ნჰლ-ში სათამაშოდ. ამ ბიჭის მერე ზაკ ბოგოსიანის („ატლანტა“), ალექს პიეტრანჯელოსა („სენტ ლუისი“) და ლუკ შენის („ტორონტო“) ჯერი დადგა.

პირველი ევროპელი კი მეექვსე ნომრად აიყვანეს და ეს რუსი ნიკიტა ფილატოვი გახლდათ, რომელიც „კოლუმბუსმა“ დაისაკუთრა. საერთოდ, ეს რუსი ამ დრაფტის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფორვარდი იყო და ბევრის აზრით, სტამკოსს არც ჩამოუვარდება, რის გამოც უფრო მაღალი ნომრითაც უნდა აეყვანათ. მაგრამ რადგანაც ნჰლ-სა და რუსეთის ლიგას შორის ჯერაც არ დადებულა ხელშეკრულება, რომელიც რუსეთიდან ჰოკეისტთა წაყვანის პროცედურას დაარეგულირებს, ბევრი ფილატოვის აყვანისგან თავს იკავებდა.

არჩეულთაგან ჰოკეისთვის ყველაზე ეგზოტიკური ქვეყნის წარმომადგენელი დანიელი მიქაელ ბოდკერი გახლდათ, რომელიც მერვე ნომრად „ფინიქსმა“ აიყვანა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირველ რაუნდში არც ერთი ფინელი, ანაც ჩეხი ჰოკეისტი არ აურჩევით. ყველაზე მაღალნომრიანი შვედი კი ერიკ კარლსონი იყო, რომელიც დრაფტის მასპინძელმა „ოტავამ“ დაისაკუთრა.

ეს ყველაფერი პარასკევს ღამე მოხდა — შაბათს კი დანარჩენი ექვსი რაუნდი გაიმართა და კიდევ 180 ახალგაზრდა ჰოკეისტი გადანაწილდა. აქ მომხდარის აღწერას ალბათ ნაკლებად აქვს აზრი, მხოლოდ ერთ ნაცნობ გვარს გამოვყოფთ — ნჰლ-ში მოვიდა სტაალების დინასტიის ბოლო წარმომადგენელიც (მოგეხსენებათ, ლიგაში უკვე თამაშობს სამი ძმა სტაალი), ამჯერად ჯარედი, რომელიც „ფინიქსმა“ აიყვანა.

ახლა კი უქმეებზე განხორციელებულ ტრეიდებს მივუბრუნდეთ და ყველაზე მასშტაბურით დავიწყოთ, რომელშიც ოთხი გუნდი იყო ჩართული. „ლოს ანჯელესმა“ მაიკ კამალერი „კალგარიში“ გაუშვა, საპასუხოდ კი დრაფტის პირველ წრეში მე-17 არჩევანი მიიღო. კალიფორნიელებმა ეს და თავიანთი კიდევ ერთი, 28-ე არჩევანი „ანაჰაიმს“ დაუთმეს და მისგან მე-12 არჩევანის უფლება მიიღეს. „კალგარიმ“ კი „მონრეალში“ გაუშვა ალექს ტანგე და „კანადიენსისგან“ პირველ რაუნდში 25-ე არჩევანი მიიღო.

„მონრეალის“ გენერალური მენეჯერი ბობ გეინი კი აღარ ხუმრობს, რადგანაც მომავალ წელს სერიოზულად აპირებს თასისთვის ბრძოლას — საქმე ისაა, რომ გუნდს მომდევნო სეზონში იუბილე აქვს, 100 წლის ხდება და გეინისაც ამის სათანადოდ აღნიშვნა უნდა. ასე რომ, ტანგეს გარდა მალე შეიძლება, გუნდში მატს სუნდინიც აღმოჩნდეს — გეინიმ უკვე მიიღო „ტორონტოსგან“ უფლება, შვედთან მოლაპარაკებები ექსკლუზიურად აწარმოოს „მონრეალს“ 1 ივლისამდე აქვს დრო სუნდინთან საერთო ენის გამოსანახად, ხოლო ეს თუ ვერ მოახერხა, შვედი თავისუფალ აგენტთა ბაზარზე გავა.

დაადგა საშველი ოლი იოკინენის „ფლორიდიდან“ წასვლასაც — ეს ფინელი არა ერთი წელია იხვეწება გაშვებას და როგორც იქნა, მისი ვედრება შეისმინეს. თუმც რამდენად კმაყოფილი დარჩა იოკინენი, არავინ იცის, რადგანაც ის კიდევ ერთ მაჩანჩალა, „ფინიქსში“ გაუშვეს. საპასუხოდ კი „პანტერებმა“ მცველები, ნიკ ბოინტონი, კეიტ ბალარდი და მომავალ დრაფტზე მეორე წრის არჩევანი მიიღეს.

„ფილადელფიამ“ კი „კოლუმბუსში“ გაუშვა წლევანდელ პლეი ოფში თავისი საუკეთესო სნაიპერი არ-ჯეი უმბერგერი — „მფრინავებს“ თავის ახალგაზრდა ვარსკვლავებთან აქვთ კონტრაქტები გასაფორმებელი და საგადასახადო ჭერის პირობებში უმბერგერის ადგილი აღარ მოიძებნა.

პირველი მეკარის ვინაობა საბოლოოდ გაარკვია „ნეშვილმა“ — გუნდმა 2 წლიანი, 3,5 მილიონზე გათვლილი კონტრაქტი გაუფორმა დენ ელისს, მისი შემცვლელი კრის მეისონი კი „სენტ ლუისში“ გაუშვა. „ოტავამ“ კრის კელი 4 წლით დაიტოვა, რომელსაც ამ პერიოდში 10,5 მილიონს გადაუხდის — სამაგიეროდ, „სენატორებმა“ თავიდან მოიშორეს მეკარე რეი ემერი.

**კახა ლომჯაშვილი**

ფორმულა 1. 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მერვე ეტაპი

# ფერარის ფრანგული დუბლი: წინ ფელიპე, უკან კიმი



ფელიპე მასა (მარჯვნივ) და კიმი რაიკონენი

**ლუის ჰემილტონი** ყბადაღებული კანადური ავარიის გამო 10 სასტარტო პოზიციით იყო დაჯარიმებული და საფრანგეთის დიდი პრიზის კვალიფიკაციაზე მესამე შედეგის მქონე ავტომატურად მე-13 სასტარტო პოზიციაზე გადავარდა.

თითქოს ეს საკმარისი არ იყო და „მაკლარენ-მერსედესის" მეორე პილოტი, ფინელი ჰეიკი კოვალაინენი, უკვე უშუალოდ კვალიფიკაციისას დაშვებული შეცდომის გამო დასაჯეს — აქაოდა, „რედ ბულის" მარკ ვებერის ბლოკირება მოახდინეო და ხუთი ადგილით უკან, ანუ მეექვსედან მეთერთმეტე პოზიციაზე გადაისროლეს, მაგრამ ჰემილტონის უფრო უკან დაწევის გამო მეათეზე აღმოჩნდა.

„მაკლარენის" პილოტები ამ ჯარიმების გამო უკან აღმოჩნდნენ, ხოლო „BMW-ზაუბერის" ხალხმა, ჩემპიონატის სესანციურმა ლიდერმა რობერტ კუბიცამ და ნიკ ჰაიდფელდმა ფრანგული კვალიფიკაცია საერთოდ ჩააგდეს, შესაბამისად მე-7 და მე-12 შედეგები აჩვენე, თუმც სანქცირებული მაკლარენელების წყალობით, სტარტზე მე-5 და მე-11 პოზიციები დაიკავეს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ისე მოხდა, რომ „ფერარის" ბოლიდებს ჯერ კიდევ რბოლის დაწყებამდე გაეხსნათ გზა, მით უმეტეს, რომ კიმი რაიკონენმაც და ფელიპე მასამაც მშვენიერი კვალიფიკაცია ჩაატარეს და პირველ სასტარტო რიგში დრომის უფლება მოიპოვეს.

„ფერარის" პილოტების უკან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო დადგა, ვინაც კვალიფიკაციისას მეოთხე იყო, თუმც ამ თავისი მეოთხე ადგილით დიდად აღტაცებული არ ჩანდა, მონრეალური კვალიფიკაციისას რომ მეოთხე შედეგი ვაჩვენე, ის უფრო ფასეული იყო, რადგანაც მაშინ მეტი საწვავი მესხა და მანქანა უფრო მძიმე იყოო.

კვალიფიკაციისას მეხუთე, ანუ კოვალაინენზე და ორივე „BMW-ზაუბერზე" უფრო სწრაფი იყო იარნო ტრულის „ტოიოტა" და ეს ნამდვილად მოულოდნელი შედეგი გახლდათ.

გუშინ კი, რბოლისას, ტრულიმ უფრო მეტი, შეიძლება ითქვას წარმოუდგენელი შეძლო. ჯერ იყო და, პირველივე მოსახვევში გაუსწრო ალონსოს და მესამე ადგილზე აინაცვლა, შემდეგ კი, ჯერ იმავე ალონსოსთან და კუბიცასთან, შემდეგ კი კოვალაინენთან უმძაფრეს ბრძოლაში შეინარჩუნა ეს პოზიცია და „ტოიოტას" მიმდინარე სეზონში პირველი პოდიუმი მოუპოვა.

ტრულიზე წინ მხოლოდ „ალისფერები" იყვნენ. „ფერარის" წყვილმა როგორც დაიწყო რბოლა პელოტონის სათავეში, მთელი საათნახევარი ახლოს არავინ გაიკარა და შედეგად, „სკუდერიამ" მორიგი დუბლი მიითვალა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ თუ რბოლის დასაწყისში წინ რაიკონენი იყო და მთელი ნახევარი გზა უპრობლემოდ ინარჩუნებდა ლიდერობას, მეორე ნახევარში ფინელს ბრაზილიელმა გადაასწრო და სუპერკომფორტული, 18-წამიანი უპირატესობით უწია ფინიშს.

საქმე იმაში გახლდათ, რომ სადღაც 33-ე წრეზე რაიკონენის „ფერარის" პრობლემები შეექმნა, მანქანამ აშკარად დაკარგა სისწრაფე და კიმიმაც პირველობა ფელიპეს დაუთმო, თუმც სხვებს დაწევას საშუალება აღარ მისცა. არადა, რაიკონენი საფრანგეთში აშკარად მოსაგებად და გენერალური კლასიფიკაციის ლიდერობის დასაბრუნებლად იყო ჩასული, მაგრამ არ გამოუვიდა და ნუგეშად პოული და მორიგი, ზედიზედ მეხუთე უსწრაფესი წრე ერგო.

რაიკონენი არა და, საერთო ჩათვლაში მასა დაწინაურდა, ხოლო ძველი ლიდერი, ანუ რობერტ კუბიცა „მანი კურზე" მეხუთე ადგილს დასჯერდა კოვალაინენის უკან.

მეექვსე იყო, ანუ მორიგი ჩასათვლელი ქულები მოიპოვა მარკ ვებერმა, მის უკან კი ფინიშს ორმა „რენომ" უწია და რაც ყველაზე მთავარია, ნელსინიო პიკე ფერნანდო ალონსოზე წინ აღმოჩნდა — კარიერაში პირველი ქულები და თანაც, ორგზის ჩემპიონ თანაგუნდელთან ბრძოლაში მოპოვებული — დიადი ნელსონ პიკეს ვაჟი უკეთესს ნამდვილად ვერაფერს ინატრებდა.

...და ჰემილტონი. ლუისმა დიდებულად დაიწყო რბოლა, ერთბაშად სამი პოზიცია მოიგო, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერთ-ერთი გასწრებისას თურმე ტრასა მოჭრა, რის გამოც პიტ-სტოპზე შესვლით დააჯარიმეს, იქიდან გამოსული კვლავ მე-13 აღმოჩნდა და მე-10 ადგილზე მაღლა ველარც ავიდა.

**ბაჩა ლომაძე**




## რბოლის შედეგები

### საფრანგეთის დიდი პრიზი
### 22 ივნისი. ნევერი

დისტანცია 70 წრე — 308,586 კმ

| | |
|---|---|
| 1(2). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი") | 1 სთ. 31 წთ. 50, 245 წმ. (საშ. სიჩქ. 201, 608 კმ/სთ |
| 2(1). კინი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი") | +17,9წმ |
| 3(4). იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა") | +28,2 |
| 4(10). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი") | +28,9 |
| 5(5). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი") | +30,5 |
| 6(6). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული-რენო") | +40,3 |
| 7(9). ნელსინიო პიკე (ბრაზილია, „რენო") | +41,0 |
| 8(3). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო") | +43,3 |
| 9(7). დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, „რედ ბული-რენო") | +51,0 |
| 10(13). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენ-მერსედესი") | +54,5 |
| 11(8). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა") | +57,7 |
| 12(12). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ტორო როსო-ფერარი") | +58,0 |
| 13(11). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი") | +1.02,2 |
| 14(18). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ჰონდა") | +1 წრე |
| 15(16). კაძუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამს-ტოიოტა") | +1 წრე |
| 16(15). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამს-ტოიოტა") | +1 წრე |
| 17(14). სებასტიენ ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო-ფერარი") | +1 წრე |
| 18(19). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია-ფერარი") | +1 წრეთ |
| 19(20). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია-ფერარი") | +1 წრე |
| **რბოლას გამოეთიშა** | |
| 20(17). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ჰონდა") | გაიარა 16 წრე |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

| პოული | |
|---|---|
| *რაიკონენი* | 1 წთ 16,449 წმ (საშ. სიჩქარე 207,714 კმ/სთ) |

| საუკეთესო წრე | |
|---|---|
| *რაიკონენი* | 1 წთ 16,630 წმ (საშ. სიჩქარე 207,224 კმ/სთ) |

Formula 1

| | ავსტრალია 16 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბაჰრეინი 6 აპრილი | ესპანეთი 27 აპრილი | თურქეთი 11 მაისი | მონაკო 25 მაისი | კანადა 8 ივნისი | საფრანგეთი 22 ივნისი | ბრიტანეთი 6 ივლისი | გერმანია 20 ივლისი | უნგრეთი 3 აგვისტო | ევროპა 24 აგვისტო | ბელგია 7 სექტემბერი | იტალია 14 სექტემბერი | სინგაპური 28 სექტემბერი | იაპონია 12 ოქტომბერი | ჩინეთი 19 ოქტომბერი | ბრაზილია 2 ნოემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მასა | — | — | 10 | 8 | 10 | 6 | 4 | 10 | | | | | | | | | | | 48 |
| 2 კუბიცა | — | 8 | 6 | 5 | 5 | 8 | 10 | 4 | | | | | | | | | | | 46 |
| 3 რაიკონენი | 1 | 10 | 8 | 10 | 6 | — | — | 8 | | | | | | | | | | | 43 |
| 4 ჰემილტონი | 10 | 4 | — | 6 | 8 | 10 | — | — | | | | | | | | | | | 38 |
| 5 ჰაიდფელდი | 8 | 3 | 5 | — | 4 | — | 8 | — | | | | | | | | | | | 28 |
| 6 კოვალაინენი | 4 | 6 | 4 | — | — | 1 | — | 5 | | | | | | | | | | | 20 |
| 7 ტრული | — | 5 | 3 | 1 | — | — | 3 | 6 | | | | | | | | | | | 18 |
| 8 ვებერი | — | 2 | 2 | 4 | 2 | 5 | — | 3 | | | | | | | | | | | 18 |
| 9 ალონსო | 5 | 1 | — | — | 3 | — | — | 1 | | | | | | | | | | | 10 |
| 10 როსბერგი | 6 | — | 1 | — | 1 | — | — | — | | | | | | | | | | | 8 |
| ნაკაჯიმა — 7, ფეტელი, ბარიკელო, გლოკი — 5-5, ბატონი — 3, ბურდე, პიკე — 2-2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 1 | 10 | 18 | 18 | 16 | 6 | 4 | 18 | | | | | | | | | | | 91 |
| 2 BMW | 8 | 11 | 11 | 5 | 9 | 8 | 18 | 4 | | | | | | | | | | | 74 |
| 3 მაკლარენი | 14 | 10 | 4 | 6 | 8 | 11 | — | 5 | | | | | | | | | | | 58 |
| 4 რედ ბული | — | 2 | 2 | 4 | 2 | 5 | 6 | 3 | | | | | | | | | | | 24 |
| 5 ტოიოტა | — | 5 | 3 | 1 | — | — | 8 | 6 | | | | | | | | | | | 23 |
| უილიამსი — 15, რენო — 12, ჰონდა, — 8, ტორო როსო — 7 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი | | | | | | |
| | | სუპერეტა | | | | | | |
| | | 23 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 355 | დეგერფორსი-ქვიდინგი | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 21:00 | 356 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 21:00 | 357 | ბუნკეფლო-ვესბი | 1.90 | 3.30 | 3.65 | 1.20 | 1.24 | 1.73 |
| 21:00 | 358 | იორგრიტე-ბრომაპოიკარნა | 1.80 | 3.40 | 3.95 | 1.17 | 1.23 | 1.82 |
| 21:00 | 359 | მიალბი-ჰეკენი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 21:00 | 360 | იონკოპინგი-სირიუსი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | 24 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 353 | ფალკენბერგი-ასირისკა | 2.55 | 3.30 | 2.55 | 1.43 | 1.27 | 1.43 |
| | | UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008 | | | | | | |
| | | 25 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 29 | გერმანია-თურქეთი | 1.45 | 4.00 | 6.60 | 1.06 | 1.18 | 2.49 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10355 | დეგერფორსი-ქვიდინგი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10356 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10357 | ბუნკეფლო-ვესბი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10358 | იორგრიტე-ბრომაპოიკარნა | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10359 | მიალბი-ჰეკენი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10360 | იონკოპინგი-სირიუსი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10353 | ფალკენბერგი-ასირისკა | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10029 | გერმანია-თურქეთი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15355 | დეგერფორსი-ქვიდინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15356 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | ბუნკეფლო-ვესბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15358 | იორგრიტე-ბრომაპოიკარნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15359 | მიალბი-ჰეკენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15360 | იონკოპინგი-სირიუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15382 | ბოკა ხუნიორსი-ტიგრე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15353 | ფალკენბერგი-ასირისკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15029 | გერმანია-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11355 | დეგერფორსი-ქვიდინგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11356 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11357 | ბუნკეფლო-ვესბი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11358 | იორგრიტე-ბრომაპოიკარნა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11359 | მიალბი-ჰეკენი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11360 | იონკოპინგი-სირიუსი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11353 | ფალკენბერგი-ასირისკა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11029 | გერმანია-თურქეთი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16355 | დეგერფორსი-ქვიდინგი | 1.40 | 2.55 |
| 16356 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 1.23 | 3.60 |
| 16357 | ბუნკეფლო-ვესბი | 1.34 | 2.80 |
| 16358 | იორგრიტე-ბრომაპოიკარნა | 1.30 | 3.00 |
| 16359 | მიალბი-ჰეკენი | 1.70 | 1.95 |
| 16360 | იონკოპინგი-სირიუსი | 1.50 | 2.30 |
| 16382 | ბოკა ხუნიორსი-ტიგრე | 1.11 | 5.70 |
| 16353 | ფალკენბერგი-ასირისკა | 1.80 | 1.85 |
| 16029 | გერმანია-თურქეთი | 1.12 | 4.60 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17355 | დეგერფორსი-ქვიდინგი | 1.85 | 1.95 |
| 17356 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17357 | ბუნკეფლო-ვესბი | 1.85 | 1.95 |
| 17358 | იორგრიტე-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 1.95 |
| 17359 | მიალბი-ჰეკენი | 1.85 | 1.95 |
| 17360 | იონკოპინგი-სირიუსი | 1.85 | 1.95 |
| 17382 | ბოკა ხუნიორსი-ტიგრე | 1.85 | 1.95 |
| 17353 | ფალკენბერგი-ასირისკა | 1.85 | 1.95 |
| 17029 | გერმანია-თურქეთი | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14355 | დეგერფორსი-ქვიდინგი | 1.70 | 2.20 |
| 14356 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 1.45 | 2.40 |
| 14357 | ბუნკეფლო-ვესბი | 1.70 | 2.20 |
| 14358 | იორგრიტე-ბრომაპოიკარნა | 1.65 | 2.30 |
| 14359 | მიალბი-ჰეკენი | 1.85 | 1.95 |
| 14360 | იონკოპინგი-სირიუსი | 1.75 | 2.10 |
| 14382 | ბოკა ხუნიორსი-ტიგრე | 1.20 | 2.60 |
| 14353 | ფალკენბერგი-ასირისკა | 1.90 | 1.90 |
| 14029 | გერმანია-თურქეთი | 1.20 | 2.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 12355 | დეგერფორსი-ქვიდინგი | 2,5 | 1.80 | 1.70 |
| 12356 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12357 | ბუნკეფლო-ვესბი | 2,5 | 1.80 | 1.80 |
| 12358 | იორგრიტე-ბრომაპოიკარნა | 2,5 | 2.00 | 1.60 |
| 12359 | მიალბი-ჰეკენი | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12360 | იონკოპინგი-სირიუსი | 2,5 | 1.90 | 1.70 |
| 12353 | ფალკენბერგი-ასირისკა | 2,5 | 1.90 | 1.65 |
| 12029 | გერმანია-თურქეთი | 2,5 | 1.70 | 1.90 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღარ გახსოვს ნუთუ არაფერი



**კრიშტიანუ რონალდუმ** საკმაოდ უკმეხად განაცხადა: სულ არ მედარდება ჩემი „რეალში“ გადასვლის გამო ალექს ფერგიუსონი გაგიჟდება თუ არა.

დიახ, 23 წლის სუპერვარსკვლავმა ვინ მოთვილს მერამდენედ და კიდევ უფრო მკაფიოდ დაადასტურა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცის ნების წინააღმდეგ მადრიდში უნდა გადასვლა. „სანთან“ საუბარში მან თქვა, რომ აქ ლაპარაკია არა ჭორებზე ან შორეულ სურვილებზე, არამედ ძალიან კონკრეტულ წინადადებაზე, რომელიც ინგლისის ჩემპიონის ოფისში დოკუმენტის სახით დევს.

„ჩემი მადრიდში გადასვლის შანსი დიდია“ — თქვა პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელმა.

მოგეხსენებათ, ყველაფერ ამაზე „იუნაიტედს“ მოკლე პასუხი აქვს: ჩემი ფეხბურთელი, რომელსაც კონტრაქტის თანახმად „ოლდ ტრეფორდზე“ კიდევ 4 წელიწადი აქვს გასატარებელი და რომლის სატრანსფერო ფასი 70 მილიონი გირვანქაა (88,41 მილიონი ევრო ან 138,158 მილიონი დოლარი) არ იყიდება!

„სანისთვის“ ცნობილი შეიქნა, რომ ალექს ფერგიუსონს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეპატრონეებმა, გლეიზერებმა კატეგორიულად გამოუცხადეს, რომ რონალდუს გაყიდვის შემთხვევაში მისი საქმეც ცუდად წავა. მაგრამ რად გინდა:

„სულ არ მედარდება ვინმე თუ განაწყენდება. „რეალში“ წასვლა ჩემი გადაწყვეტილებაა. ეს ის არის, რაც მინდა“ — დაუჩემებია ევრო 2008-ის მეოთხედფინალიდან გავარდნილს.

საკვირაო the news of the world-მა კი საკუთრივ ფეხბურთელის ახლობლებში გაიკითხ-გამოიკითხა, რათა მისი პოზიცია უფრო ნათელი გაეხადა.

„კრიშტიანუ „იუნაიტედისგან“ თავის დაღწევას მთელი გულითა და სულით შეეცდება. ის დარწმუნებულია, რომ ოცნების ახდენას და „რეალში“ გადასვლას იმსახურებს. რონალდუ მანჩესტერელებს ახსენებს იმ თავდადებასა და ოსტატობას, რომლითაც მათ გუნდს წლების განმავლობაში ემსახურა. მას სწამს, რომ ამ ხნის მანძილზე საკმარისზე მეტი გააკეთა იმისთვის, რომ მათ ოცნების ახდენაში ხელი არ შეუშალონ. კრიშტიანუს „იუნაიტედიდან“ მოქუფრული წასვლა არ უნდა. მას სურს, ყველასთან კარგი ურთიერთობები შეინარჩუნოს“ — თქვა ფეხბურთელთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა ადამიანმა.

**პაპუნა ქედია**



# კარლოსი გაუგებრობაში

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“** კარლოს ტევესს ახალი კონტრაქტი არა და არ შესთავაზა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული, არგენტინელმა სხვა გუნდის ძებნა დაიწყოს.

ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, რომ ტევესს მეგობრებთან დაუჩივლია, მანჩესტერელები ჩემს ორწლიან ქირაობას მუდმივი კონტრაქტის სახეს არა და არ აძლევენ, ამ საკითხზე დასალაპარაკებლად არავინ მომკარებიაო.

„კარლოსი რთულ მდგომარეობაშია — თქვა ერთ-ერთმა ძმაბიჭმა — ერთი მხრივ, მას „იუნაიტედი“ უყვარს, მაგრამ მეორე მხრივ, დღევანდელი საკონტრაქტო მდგომარეობის დიდხანს შენარჩუნება არ სურს. თუ წლის ბოლოსთვის რაიმე კონკრეტული არ გამოჩნდება, ტევესი იძულებული გახდება, სხვა გუნდში გადასვლაზე იფიქროს“.

და რა არის ყველაზე ირონიული, იცით? ის, რომ მადრიდის „რეალი“ კარგა ხანია რონალდუსა და ტევესის წყვილზე ოცნებობს.

თავის მხრივ, არგენტინელი თავდამსხმელის ასეთი დამოკიდებულება მანჩესტერელებს გეგმებს ურევს. „იუნაიტედში“ ფულის დახარჯვას სულ სხვა ხალხზე აპირებენ. იმ 20 მილიონ გირვანქაში, რომელიც გლეიზერების ოჯახმა ამ ზაფხულს ტრანსფერებისთვის გამოჰყო, ტევესი არანაირად არ იყო გათვალისწინებული — არგენტინელის კონტრაქტი დროებითიდან მუდმივად რომ იქცეს, ალექს ფერგიუსონს კიდევ 20 მილიონი დასჭირდება.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ჩემპიონმა გასული სეზონის მიწურულს რიო ფერდინანდს, პატრის ევრას, მაიკლ კარიკს და დარენ ფლეტჩერს ახალი ხელშეკრულებები გაუფორმა.

**პაპუნა ქედია**

# რა ხდება ფელიპეს თავში?

**დღეს,** ევროპის ჩემპიონატის გარეშე დარჩენილ ინგლისურ ფეხბურთში რამდენიმე დიდი თემაა, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ბრაზილიელი მწვრთნელის, ლუიშ ფელიპე სკოლარის „ჩელსის“ თავკაცად დანიშვნას უკავია. სკოლარის შესახებ ბევრს მსჯელობენ და ცდილობენ, ამოიცნონ, როგორ განვითარდება ლონდონური გუნდისა და პორტუგალიის ნაკრების აწ უკვე გადამდგარი მწვრთნელის თანამშრომლობა.

ფაქტი ერთია: „ჩელსის“ მეპატრონეს, რომან აბრამოვიჩს გამარჯვებები და ტიტულები სჭირდება. შესაბამისად, სკოლარის წინაშე მეტისმეტად გასაგები ამოცანა დგას: უნდა მოიგოს! და როგორ უნდა მიაღწიოს დიდმა ფილმა ამას?

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ სკოლარი ავტორიტეტებს და პრიმადონებს ვერ ეგუება. ნებისმიერი, ვინც მის გავლებულ ხაზს თუნდაც ფეხის წვერით გადაცდება, მოიკვეთება. მერედა, ბრაზილიელი წამსაც არ დახარჯავს, რაგინდარა ფეხბურთელისთვის იმის ასახსნელად, თუ რატომ არ მოსწონს მისი თამაში და რა მიზეზით ვერ ერგება იგი მის სქემას. მოკლედ, განდევნილები შეუვალ დუმილს დაეჯახებიან და ამის გამო „სტემფორდ ბრიჯზე“ პოპულარობას თუ დაკარგავს, სკოლარისთვის სულერთია.

ეს ვარაუდი ჰაერიდან მოტანილი არ გახლავთ. ბრაზილიელი ყველა წინა სამსახურში ასე იქცეოდა და ამის ძალიან კარგი მაგალითი პორტუგალიის ნაკრები გახლავთ. აბა, გაიხსენეთ, როგორ ტოვებდა სკოლარი ნაკრებს მიღმა ისეთ სახელებს, როგორებიც გახლდნენ რუი კოშტა, ლუიშ ფიგუ, ფერნანდუ კოუტუ, რუი ჟორჟე, ჟორჟე კოშტა, მანიშე, ტიაგუ თუ პაულუ ფერეირა. და, რასაკვირველია, სკამზე ჯდომისგან არც „ჩელსის“ ვარსკვლავები იქნებიან დაზღვეულნი.

„დაე, ყველა რევოლუციას ელოდოს, განსაკუთრებით მენტალიტეტის სფეროში. გარდა ამისა, უპირველეს ყოვლისა, კარგ შემოწმებას ჩავატარებ. ასეთი რამ ნებისმიერ კომპანიაში ხდება, სადაც ხელმძღვანელს ცვლიან, თუმცა რამდენად ჩქარა შეიცვლება ყველაფერი, ადამიანურ რესურსებსა და მათი შედუღაბების უნარზე იქნება დამოკიდებული. ამთავითვე ვაღიარებ, პირველ რამდენიმე თამაშში სწორი შემადგენლობა, შესაძლოა, ვერ შევარჩიო, რადგან ყველა ფეხბურთელის შესაძლებლობა ჯერ არ მექნება შესწავლილი. რას იზამ, ყველა მწვრთნელს თავისებური ხასიათი, საქმისადმი დამოკიდებულება და ფეხბურთელებისადმი მიდგომა აქვს. მე მოთამაშეების შესწავლას ვარჯიშებიდან დავიწყებ, რადგან ვარჯიშებზე ისინი სხვანაირ თვისებებს ავლენენ“.

ხოლო მას მერე, რაც „საქონელს“ აღწერს, სკოლარი სხვათა რჩევებისა და დახმარებების გარეშე შეუდგება საქმეს.

„ჩემი არჩევანი მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებებით გაკეთდება — განმარტა ბრაზილიელმა — უპირატესობას მივანიჭებ მათ, ვინც ჩემი აზრით საუკეთესოა. ახსნა-განმარტებას კი მხოლოდ იმ ფეხბურთელებზე ვიძლევი, რომლებსაც ვენდობი, დანარჩენებზე არაფერს ვიტყვი. უკმაყოფილონი დარჩებიან? დაე დარჩნენ. მათ ხომ იციან, რომ სფერო, რომელშიც მოღვაწეობენ, ფეხბურთია. მე მწვრთნელი ვარ და არჩევანის გაკეთება მევალება“.

ერთი სიტყვით, კაცი, რომელმაც 2002 წელს ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, სიმპათიებს და პოპულარობას არ ეძებს. დაე სიმპათია მხოლოდ მას მერე მოვიპოვო, რაც გუნდს ტიტულს მოვაგებინებო, ამბობს იგი.

ზოგადად, სკოლარი კონფლიქტ-



ებს არ ერიდება. მას თვით „ჩელსის“ ძველ თავკაც ჟოზე მაურინიუსთანაც კი მოსვლია კონფლიქტი. მაურინიუ სკოლარის პორტუგალიის ნაკრებისთვის მოთამაშეთა შერჩევაში აკრიტკებდა.

„იმ ხალხს, ვისაც არ მოვწონვარ, არც მომავალში მოვეწონები და ეს ჩემთვის სრულიად არაფერს შეცვლის. გარდა ამისა, არიან ადამიანები, რომელთაც არ მოვწონვარ, მაგრამ მე ვცემ მათ პატივს. და, რომ იცოდეთ, ასეთები ბევრნი არიან.

იცით, პორტუგალიაში რა ვისწავლე? ნაკრების მწვრთნელად უკვე 6 თვის დანიშნული გახლდით, როდესაც კარლუშ კეირუშმა („მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელის ასისტენტმა), რომელიც ძმასავით მიყვარს, მითხრა: „ფელიპე, მეტს ნუღარაფერს ილაპარაკებ, საქმე გააკეთე და რაგინდარა კამათიც ამით დასრულდებაო. მა მის სიტყვებზე დავფიქრდი და მივხვდი, რომ კეირუში მართალი იყო. ვინ იცის, ჩემს თავში რა ხდება, და ამიტომ სჯობს, კრიტიკას საერთოდ არ ვუპასუხო“.

**პაპუნა ქედია**

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ– შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

ეროვნული ბიბლიოთეკა



### გიო ახვლედიანის სვეტეული

# აღმოსავლეთის დიდი სერასქირი

**LOVE ME TENDER, LOVE ME SWEET, NEVER LET ME GO...** ნეტავ, ელვის პრესლი რას იტყოდა ფეხბურთზე? ადგილ-ადგილ ხომ ამბობენ, ელვისი ცოცხალიაო. გადაიცვაო და პლასტიკურიც გაიკეთაო. ჰოდა, ეგებ დადის შვეიცარიისა და ავსტრიის სტადიონებზე და ღიღინებს თავის სიმღერებს. იმ ხმაურში მაინც ვერავინ გაიგებს, თუ მაინცდამაინც არ წამოხტა და მუხლები არ დაბრიცა თავისებურად.

კრიშტიანუ რონალდუსაც მალე ველარ იცნობთ — თუ მუხლები არ დაბრიცა თავისებურად, ელვისიც ამაზე მღეროდა: გიყვარდე ნაზო, გიყვარდე ტკბილო, წასვლის ნება არ მომცეო. ჰოდა, უყვარს სერ ალექსს და ამბობს, არ გაგიშვებო. რიო ფერდინანდი და სხვანი მესიჯებით ბომბავენ კრიშს, რას· შვები ტოო, მედია კი ამბობს, ფერგი ერთიერთზე შეხვედრისას ყურს აუწევს და აზრზე მოიყვანსო. ტერი ვენეიბლზმა კი დაწერა, უმჯობესია, რონალდუ ტრიბუნაზე ეჯდეთ, ვიდრე გაუშვან, იმიტომ რომ მისი გადასვლა სხვა ფეხბურთელებს დაანახებს, როგორ უნდა დაახიო თავზე კონტრაქტი დიად კლუბსო.

ჰოდა, თუ ტრიბუნაზე დასვეს, მალე ვინღა იცნობს? ეგ მუხლებზეა საცნობი. სიმღერაც კი არ იცის და მალე დაივიწყებენ.

სამაგიეროდ, აღარავინ დაივიწყებს ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა გუნდს, რუსებისა. როგორც ირკვევა, ახალგაზრდა, ფეხბურთელი ყოფილა კარგი და არა ტრენერი. ჯობია, მოკლედ. რასია წინ მიიწევს, სწრაფი და ჭკვიანი, თანაც ლამაზი თამაშით. ეს კარგი საყურებელია. თუმცა, ჩვენთან საქმე მოულოდნელ ელფერს შეიძენს ხოლმე. საგულშემატკივრო ამბავში, თითქოს ხალხს რაღაც სხვა რამის თქმა უნდა რუსეთზე და მათი კარგი თამაშიდან გამომდინარე ამბობენ ამას, თან ირიბად, თან რაღაცნაირად. მესმის, რომ უბრალოდ ფეხბურთზე ლაპარაკი არ გამოგვდის, როცა საქმე რუსეთს ეხება, მაგრამ ამ შემთხვევაში სამაგალითო მხოლოდ რუსეთის თამაში უნდა იყოს და არა, ნახვა, რა გააკეთეს რუსებმა. ნახე ჰიდინკი, ჩვენ კიდევ ტოპმა რა ხეირი დაგვაყარაო. ჰიდინკამდე, რუსული კლუბების შემადგენლობაც ვნახოთ, არშავინის ხელფასიც ვნახოთ. მისი ერთი თვის შემოსავალი ქართული კლუბის წლიურ ბიუჯეტს დიდად არ ჩამორჩება. მოწინავე კლუბს ვამბობ: სადაც ყაზანში ფეხბურთელს მილიონს უხდიან სეზონში, იქ ნაკრებიც ამუშავდება, თან ჰიდინკის ხელში. თან, იმის მტკიცებასაც არ აქვს დიდი საყრდენი, რომ ახლა ჩვენ უკეთესი ფეხბურთელები გვყავს. არშავინს რომ ვუყურებდი შაბათს, სულ გიო ქინქლაძე მახსენდებოდა. საქმე ეგ არის, ვინ ვის როგორ გამოიყენებს, თორემ გიო უფრო ლამაზი იყო.

რუსები 20 წლის წინათაც ფინალში იყვნენ, მაშინაც, ერთი მოუგეს ჰოლანდიას და მერე სწორედ მარკო ვან ბასტენმა გაუტანა ის დაუვიწყარი. ახლა არავინ მითხრას, ჰიდინკი ლობანოვსკიზე მაგარი მწვრთნელიაო.

და ახლა, მგონი ვიცი, ვინ არის მაგარი: ვის შეუძლია, ქვას ხელი მოუჭიროს და წყალი გამოადინოს, არაფრისგან შვას ცეცხლი.

ფათიჰ თერიმი — აღმოსავლეთის დიდი სერასქირი.

რუსეთი გასაგებია. რუსეთი მაგრად თამაშობს, ჯერ ის კოლოდინი რას უხათქუნებს, მაგრამ რას თამაშობს თურქეთი? ეს რა ქარი მოდის საიდანღაც? რა ქარიშხალი? ეს რა სიგიჟეა? ფეხბურთია, თუ რამე სხვა? ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სამჯერ? ათასგზის გადაწებებული, გადასხვაფერებული, ხვრელებ-ჰაიჰარად დაფარული გუნდი იმარჯვებს და იმარჯვებს ფოტოფინიშებით, რაღაც მოულოდნელი, თვალშეუსწრები ვნებით და ენერგიით, ისე, რომ ვერავინ იტყვის, მეტოქეს სჯობდა რომელიმე სათამაშო საკითხში. ასეთ დროს საქმე მხოლოდ ფეხბურთსა და თამაშში არ არის, საქმე ენერგიაშია.

ამას წინათ ფეხბურთზე მომიხდა ლაპარაკი კაი ხალხში, დიდი მღელვარება არ დამეტყობა ხოლმე და საკამათოც იქ არაფერი იყო, მაგრამ ბოლოს ავტოგაცხარებას მივაწექი და ჩვენს გუნდზე ლაპარაკისას დავძახე, როცა გგონია, რომ თავი დადე და ყველაფერი გაიღე, იმაზე ერთი ნაბიჯით მეტი უნდა გააკეთო, ისე ვერასდროს გახვალ დიდ შეჯიბრზე-მეთქი. თუ მოედანზე არ მოკვდი და მერე გამარჯვებამ არ გაგაცოცხლა, არაფერი გამოგივა-მეთქი. მგონი, იმას ვგულისხმობდი, რასაც მეორე კვირაა აკეთებს ფათიჰ თერიმი.

დარჩა ვნება ფეხბურთში?

დარჩა. დარჩენილა.

არის რამდენიმე ადგილი, მათ შორს, სტამბოლის სამი გიჟური სტადიონი.

როცა ფათიჰ თერიმმა პირველად გაიყვანა თურქეთი ევროპის ჩემპიონატზე 12 წლის წინათ, თურქებს გოლიც არ გაუტანიათ. ასე მახსოვს. ჰოდა, ახლა...

ნახევარ მსოფლიოს ელვისი დღესაც ცოცხალი ჰგონია





# მადრიდში კუპე შეუკვეთეს

**საფრანგეთის** ნაკრების მეკარემ გრეგორი კუპემ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ გამონახა საერთო ენა — „ლიონის“ ყოფილმა გოლკიპერმა ესპანეთის დედაქალაქში სამი წლით უნდა გადაინაცვლოს.

ეს ამბავი ფრანგულმა „ეკიპმა“ ამცნო ქვეყნიერებას. შეგახსენებთ, რომ 35 წლის კუპემ საფრანგეთის ჩემპიონი „ლიონი“ ერთი თვის წინ დასტოვა. გოლკიპერის ძებნით გართულმა „ლიონმა“ „ნიცადან“ უგო ლორისი გადაიბირა.

რამდენადაც ცნობილია, „ლიონს“ და „ატლეტიკოს“ ფინანსური საკითხები მთლად ბოლომდე ჯერ არ შეუთანხმებიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ დეტალებზე რამდენიმე დღეში დამატებით გვამცნობენ. „ლიონმა“ ჯერჯერობით კომენტარისგან თავი შეიკავა.

**პაპუნა ძიდია**

# რვაზე მეტი თურქი



ნიჰათ ქაჰვეჩი

**თურქეთის** ნაკრებში შექმნილი კრიზისი კიდევ უფრო რომ არ გაღრმავებულიყო, უეფას, შესაძლოა, საგანგებო თათბირი დაენიშნა, მაგრამ ახლა ამის წინაპირობა არ ჩანს.

მოდი, დალაგებით მოვყვეთ: ოთხშაბათს ფათიჰ თერიმის გუნდი ნახევარფინალში გერმანიის ნაკრებს ხვდება, მაგრამ რა ძალებით? ჯერ კიდევ ხორვატების წინააღმდეგ, მეოთხედფინალის წინ, ოსმალთა განკარგულებაში მხოლოდ და მხოლოდ 15 ფეხბურთელი იყო, შემდეგ კი ეს ისედაც მძიმე სურათი უფრო მეტად დამძიმდა: ხსენებული თხუთმეტიდან სამმა დაისკვლაფიკაცია მიიღო.

ბარძაყის ტკივილს უჩივის ნიჰათ ქაჰვეჩიც. თურქთა ბანაკიდან გამოსული ხმების თანახმად, ნახევარფინალში, შესაძლოა, ვერც მან ითამაშოს (არადა, ნიჰათი ამ ჩემპიონატში თურქთა გმირია, სწორედ მან გაუტანა ჩეხებს თამაშის მიწურულს ორი გოლი). კიდევ, დაშავებულნი არიან სერვეთ ჩეთინი, თუმერ მეთინი და ემრე ბელოზოღლუ.

გარდა ამისა, ის, რომ შეჯიბრებაში ემრე გიუნგიორი ველარ მიიღებდა მონაწილეობას, აქამდეც გახლდათ ცნობილი, ხოლო მეკარე ვოლქან დემირელს დღეს ეტყვიან პასუხს, შეუმცირებენ ორთამაშიან დისკვლალიფიკაციას ერთამდე, თუ არა.

ერთი ხნის წინ, როდესაც ფეხბურთელის შეცვლა ჯერ კიდევ ნებადართული იყო, ფათიჰ თერიმმა ამაზე უარი განაცხადა, ახლა კი სხვა სურათია.

„თუ გუნდი რვა ფეხბურთელით დარჩება, მაშინ უეფა საგანგებო თათბირს მოაწყობს, ამ შემთხვევაში კი, საამისოდ წინაპირობა არ არსებობს — განაცახადა უეფას კომუნიკაციათა დირექტორმა უილიამ გეილარდმა.

ასე რომ, თერიმს შეუძლია, გარშემო დადებითი მომენტების ძებნით დაიმშვიდოს თავი. მაგალითად, მეჰმეთ აურელიოს დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა.

გარდა ამისა, თურქთა მწვრთნელის განკარგულებაშია ქაზიმ ქაზიმი, იგივე კოლინ-ქაზიმ რიჩარდსი, ლონდონელი თურქი, „შეფილდ იუნაიტედის“ ყოფილი მოთამაშე, რომელსაც თანაგუნდელების ტრავმები და ყვითლები თავის გამოჩენის საშუალებას აძლევს.

„თავის გამოჩენის შანსი ყოველთვის არსებობს, მაგრამ ოღონდ მოვიგოთ და მე გამოვიჩენ თავს, თუ სხვა, არ დავეძებ — განაცხადა ქაზიმმა — ყველას აქვს სურვილი, გახდეს გმირი, მაგრამ უმთავრესი გუნდია“.

**პაპუნა ძიდია**

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

**euro_fan_2008@yahoo.com**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მკითხველის ეჭვი: გაზპრომის მილიონები

დღევანდელ წერილებში ორი მთავარი თემაა: ხომ არ უდიოდა ჰოლანდია — რუსეთის თამაშს დიდი ფულის სუნი და რატომ უნდა ვუგულშემატკივროთ საქართველოს ნაკრებს, რომელიც, ვაგლახ, ასე უსუსურად თამაშობს ევროპის ისე რა, გუნდებთანაც კი.

ჩვენს აზრს მოგახსენებთ. იქამდე კი გეტყვით, რომ **KOTE 77**-ის წერილი ჰოლანდია-რუსეთის თამაშამდე მოვიდა და ავტორის იმედი, სამწუხაროდ, არ გამართლდა.

ჩანყობას რაც შეეხება. რა თქმა უნდა, თავს ვერაფერზე დავდებთ, მაგრამ იმის ხელაღებით მტკიცება, რომ გაზპრომის კლანჭები ყველაფერს სწვდება და მათ შორი ფეხბურთსაც, არ შეგვიძლია. მეორე მხრივ კი, გაზეთში გაზპრომის სახელი არაერთხელ გვიხსენებია...

ხოლო იმ საკითხს, თუ ვის უნდა ვუქომაგოთ, პასუხი ასეთი გვაქვს: რა თქმა უნდა, საქართველოს! ოღონდაც ჩვენი უბედურება სწორედ ეგ არის, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო საქართველოს მოქალაქეები სხვებს ვქომაგობთ და ამის გამოც როგორ გინდა ვინმე დაძრახო...

**ZIZI-TOP**: აბა, მოვიდა გერმანიააააააააააააააააააა!!!

უი, ისე გახარებული ვარ ამ ფრიცების მოგებით, რომ გამარჯობაც კი დამავიწყდა: „სარბიელს“ მივესალმები!

მოკლედ, მაგრად კი მანერვიულეს ბიჭებმა, მაგრამ მაინც ჯიგრები არიან. მიშაც მაგარია, მიროც და ბასტი ხომ მთლად ფანტასტია.

ხორვატია — თურქეთის თამაშში არავის არ ვქომაგობდი, მსაჯის გარდა. ბევრი წითელ-ყვითელი მინდოდა, განსაკუთრებით, მოგებულ გუნდში. ჰოდა, ძალიან კმაყოფილი ვარ, თურქებს გერმანიასთან სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი რომ ჰყავთ.

ასე რომ, მადლობა მსაჯს!

**DZIBO007**: მივესალმები სარბიელს!

შაბთას საღამოს მოხდა ის, რისიც ძალიან მეშინოდა. ჰოლანდიელები ისე უსუსურად გამოიყურებოდნენ, პატარ-პატარა ეჭვები გამიჩნდა. ქვემოთ მოგახსენებთ იმ ორ ეჭვს, რომელთაგან ერთ-ერთში, ჩემი აზრით, სიმართლის მარცვალი აგდია.

1) მატჩი ისე დაიწყო და გაგრძელდა, გეგონებოდა, ჰოლანდიამ თამაში გაყიდაო. ცოცხალი თავით არ უტევდნენ ჰოლანდიელები, იდგნენ დაცვაში და ელოდებოდნენ, როდის შეუტევდნენ რუსები. თავიდან მეგონა, ვან ბასტენის ტაქტიკა იყო, მაგრამ შემდეგში (განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში) გამოჩნდა, რომ რაღაც სხვა ხდებოდა. ჰოლანდიელებმა ერთი-ორი მომენტი კი შექმნეს, მაგრამ რად გინდა, კარგად ვერ ურტყამდნენ. თამაშს ცოტა სხვა თვალით შევხედე და ეჭვი გამიჩნდა. ამას თან დაემატა ბულარუზის ცვლილება და მის მაგივრად ჰეიტინგას შესვლა. მართალია, ბულარუზის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ ამ შეხვედრაში მისი შეცვლა არ იყო საჭირო. და მაინც, რატომ გააკეთა ეს ცვლილება ვან ბასტენმა? ამაზე ვფიქრობ და ერთადერთი პასუხი არსებობს — ვან ბასტენს უნდოდა, შეცვლების ლიმიტი მალე ამოეწურა და დაღლილ ჰოლანიას ეთამაშა. შემოვიდა ჰეიტინგა და ორიოდ წუთში მის ფლანგზე გარღვევა მოხდა. გოლი — 1:0. ჰოლანდია პირველად აგებდა ევრო 2008-ზე შეხვედრას. ვინ უნდა შემოეყვანა ვან ბასტენს? ორი ვარიანტია — კლაას იან ჰუნტელაარი, რომელმაც რუმინეთთან შეაგდო ან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, რომელიც ვან ნისტელროისთან ერთად, მშვენივრად ითამაშებდა მეორე სართულზე ბრძოლაში. რა თქმა უნდა, აქცენტი სტანდარტულ მდგომარეობაზე გადავიდოდა... მაგრამ, რა ქნა ვან ბასტენმა? შემოიყვანა პსვ-ს 22 წლის ნახევარმცველი იბრაჰიმ აფელაი. თუმცა მანამდეც არასწორი გადაწყვეტილება მიიღო ჰოლანდიელთა მწვრთნელმა. ვან პერსის შემოყვანას და დირკ კოიტის გასვლას ვგულისხმობ. რამდენჯერაც ვან პერსიმ მიიღო ბურთი, იმდენჯერ სისულელე გააკეთა. არა, არ ვამბობ, ვან პერსი ცუდი ფეხბურთელიაო, მაგრამ ცოტა ხნის წინ ტრავმა მოიშორა და ძველებურად ველარ ბურთაობს. მოკლედ, რისი თქმა მინდა, ვან ბასტენმა სამი ცვლილება გააკეთა და სამივე ფეხბურთელმა საშინლად ითამაშა. ეჭვი, რაზეც თავში მოგახსენეთ, გაზპრომის მილიონებია. ამ გიგანტმა კომპანიამ ხომ ნახევარი ევროპა იყიდა.

2) როგორ ითამაშეს რუსების კონკურენტებმა?

თუ ვნახავთ რუსეთ-შვედეთის მატჩის ჩანაწერს, შევამჩნევთ, რომ შვედებს ზუსტად იგივე დაემართათ, რაც ჰოლანდიელებს — ვერ დარბოდნენ, კარში ვერ ურტყამდნენ და გააზრებულად ვერ თამაშობდნენ. კიდევ წარსულში წავიდეთ და გავიხსენოთ, „ზენიტის“ კონკურენტი უეფას თასზე — გერმანული გრანდი მიუნხენის „ბაიერნი“. შევადაროთ ჰოლანდიის, შვედეთისა და ბაიერნის თამაში ერთმანეთს და მივხვდებით, რომ ამ სამ გუნდს საერთო ძალიან ბევრი ჰქონდა რუსებთან თამაშში. დავუბრუნდეთ ჰოლანდიასთან მატჩს. ჰოლანიდიელები ვერც პირველ და ვერც მეორე ტაიმში გამოიყურებოდნენ კარგად. მეორეში კი დაბნეულები თამაშობდნენ, ვან ნისტელროის გოლი კი შემთხვევითობას დავაბრალე. ფეხბურთელების სულელურ გადაწყვეტილებებს, ვან ბასტენის სისულეები დაემატა და გუნდი სულელურად ათამაშდა... ჰოლანდიელები გონს 85-ე წუთზე მოვიდნენ და ერთი გაიტანეს, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მანამდე კი სნეიდერი ურტყამდა და ურტყამდა, მაგრამ რად გინდა — კარში არ მიდიოდა. დამატებით დროში კი, ისევ დაიბნენ ჰოლანდიელები და ისევ სულელურ-გიჟური სახეებით დარბოდნენ შუა მოედანზე. ასეთი სახით დარბოდნენ ჯონი ჰეიტინგა და ედვინ ვან დერ სარი. ისე, კი გამიკვირდა, რას შვრებოდა ჰოლანდიელთა გოლკიპერი. მესამე გოლი რომ გაუშვა — სულელივით ხელებს იქნევდა აქეთ იქით. ყველაფერი ეს დაემართათ შვედებსაც და გერმანელებსაც. და ჩნდება კითხვა — რატომ მაინცდამაინც რუსებთან თამაშისას? მე მგონი, მოყვანილი არგუმენტები საკმარისია ადამიანის დაეჭვებაში და ვფიქრობ, აქ სულ სხვა ამბავია, სადაც რუსები ისეთ ეშმაკობებს ხმარობენ, რომლის ამოცნობაც ძალიან ძნელია. დღევანდელი მეცნიერება ძალიან წინ არის წასული და მათ შეუძლიათ, გააბრუონ ფეხბურთელები 120 წუთით და მეტითაც კი. მეცნიერებს ამის გაკეთებაში სჭირდებათ ფული და ფული რუსებზე მეტი ვის აქვს?

**P.S.** რუსთავი 2-ზე დიმას გადაცემაში რომ ამბობენ, რატომ გწყდებათ გული, როცა ევროპული გრანდი აგებს, აგერ არ გყავს საქართველო და იმას უგულშემატკივრეთო. გეკითხებით, როგორ საქართველოს ვუგულშემატკივრო, მსოფლიოს რეიტინგში 80-ზე წინ რომ არ ყოფილა, თუ იმ საქართველოს, ყაზახეთის ნაკრებს შინ რომ ვერ მოუგო? ითამაშონ ბატონო, ჩვენმა ფეხბურთელებმა კარგად და გულშემატკივრობა მერე ნახეთ.

**KOTE 77**: გაუმარჯოს სარბიელს! მე პირველად გწერთ და ამიტომ ცოტა თემიდან გადახვევით დავიწყებ. პირველ რიგში, მინდა, მადლობა გითხრათ ასეთი გაზეთის არსებობისთვის! 1994 წლიდან თქვენი გაზეთის ყველა ნომრის მკითხველი ვარ, ბავშვობაში, საერთოდ, ვინახავდი ყველა ნომერს, რომლებიც ახლაც მაქვს. ძალიან მაგრები ხართ!!! პაპუნა კედიას სტატიებს კი პირველი სტრიქონიდავნე ვცნობ, მოკლედ, მაგრები ხართ და გმადლობთ.

ჰოლანდიის, „აიაქსის“ და „ბარსას“ გულშემატკივარი ვარ, რაც ფეხბურთი მახსოვს, იმის შემდეგ. ესენი ყოველთვის ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ. ჰოლანდია რასაც აკეთებს ამ ჩემპიონატზე, თქვენც ხედავთ. ძალიან მაგრები არიან, ვან ბასტენი მაგარი მწვრთნელი ხო არის და მაგარი კაციც ყოფილა, აბა, იტალია უკვე სახლში იქნებოდა!!! იტალიამ როდემდე უნდა იაროს ასე მათხოვრულად (საერთოდ, იციან ლამაზი თამაში?)? ისე, იტალიელი გულშემატკივრები იმას კი არ ამბობენ, ჰოლანდიამ გაგვიყვანაო, იმას ამბობენ, რომ ნახევარფინალში ჰოლანდიას გამოვაგდებთო და საკუთარ თავს დააბრალონო. იტალია ხომ ასეთ თამაშს არასოდეს არ მოიგებს! ისე მგონია, რომ ესპანეთი იტალიას მოუგებს!

მომეწონა რუსეთი, ლამაზად ითამაშეს. ხორვატია მაგრად შემეცოდა, უნდა მოეგო და რა მოუვიდა. ისე, გერმანიაც ძლივს გავიდა ჯგუფიდან! ახლა სხვა თემაზე მინდა ვთქვა. რომ გეუბნებიან, უცხო ქვეყნებს რატომ გულშემატკივრობთ, ჩვენებს უგულშემატკივრეთო, რა თქმა უნდა, საქართველოს ვგულშემატკივრობთ, მაგრამ, თუნდაც ჯიგრით თამაში ხომ უნდა დავინახოთ? სტადიონზე რომ მიხვალ და ლატვიასთან წაგებული რომ მოდიხარ სახლში, ეს კარგი ნამდვილად არ უნდა იყოს. თან ისე რომ, კარში შეიძლება, საერთოდ არ ჰონდეთ დარტყმული! „ბანანცთან“ და „ტორსავნთან“ წაგებაზე აღარც ვლაპარაკობ. მე მგონი, ცოტა ავღელდი და ბოდიში! სარბიელს დიდი მადლობა ყველაფრისთვის!!!

**FURIA ROJA**: გამარჯობათ! ეჰ, რა კარგი ევროპის ჩემპიონატი რად გადაიქცა. რუსებმა მართლაც მარსტერკლასი ჩაუტარეს ჰოლანდიელებს, მაგრამ ყველაზე მეტად ხორვატიის წაგებაწე დამწყდა გული. სრნაზე მეტად, მგონი, მე ჩავვარდი ისტერიკაში. ეს თურქეთი მართლაც იღბლის ბუკეტია. გერმანელმა მოგებას, მიუხედავად ბალაკის არჩასათვლელი გოლისა, მაინც დამსახურებული ეთქმის. თუმც გერმანია მაინც ვერ გახდება ჩემპიონი, ჩემი აზრით, ფინალს წააგებს...

ეტყობა, ჯგუფის მატჩების სულ ტყუილად ჩატარდა, გუნდებმა ვერ გადაანაწილეს ძალები და ხომ ხედავთ, ვინც ბრწყინვალედ გაიარა ჯგუფი, ყველას ცუდად წაუვიდა საქმე — ცუდი შედეგი მოიტანა მესამე მატჩში ძირითადი ფეხბურთელების დასვენებამ.

რაც შეეხება ვერსიას, რუსეთი ესპანეთის უფრო მოუგებს, ვიდრე იტალიასო, არასწორად მიმაჩნია. რუსეთი ვერანაირად ვერ მოუგებს ესპანეთს, და ვერავითარ შურს ვერ იძიებს, რადგან არ არსებობს იმის მექანიზმი, რომ რუსეთმა 1:4 წაგება ამოქაჩოს.

აი, იტალიასთან კი რუსეთს მშვენიერი შანსი ექნება. ჯერ არ ვიცი გუშინდელი მატჩის შედეგი და ღმერთმა ქნას, „ფურია როხა“ გავიდეს. ჩემი აზრით, ძალიან ბევრია დამოკიდებული ესპანელთა თავდასხმაზე — არა მგონია, იტალიელებმა მათი მოთოკვა შეძლონ.



**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ

— გამაგებინე, დენის კალოდინთან ფუტბოლი როგორ უნდა წააგოს დენის ბერხკამპის ქვეყანამ, ტო, თუ ნაყომარები არ არი?

ხუთშაბათს გერმანიის მეტი არ დავწერე, პარასკევს კიდე ხორვატიის ცვეტში ნიჩია. მეთქი, ამ ათას დოლარს ჰოლანდიის უეჭველ ერთიანზე ვხევ.

— მერე?

— ვხიე.

— მერე?

— ბავშვობიდან ვან ბასტენის სურათებს ვაგროვებდი და თამაში რო დამთავრდა, ყველა სურათი დავხიე, ტო! ოჯახის ალბომზე რო გადავედი, დედაჩემმა გამაჩერა.

— მე კიდე სახლში სტაფილოსფერი რაც ვიპოვე, ყველაფერი ფანჯრიდან გადავყარე. ეგ ვან ბასტენი არა ყოფილა, ძმაო, ეგ არი ვან ბოსტანი.

— შენც ბლომად წააგე, ტო?

— იმდენი, რო ერთი ტონა სტაფილო მომივიდოდა.

— რა ევრო 2008 ტო! გვეკაიფებიან? ამას უნდა ერქვას ყომარ 2008.

— ცვეტში ეგრეა. დაჟე საიტიც უნდა გადააკეთონ და დაარქვან წწწ.ჩაწყობილია.ცომ

— არა, რო? ეგრე ნაგლად მიცემული თამაშები?

— ძმაკაცმა დამირეკა დუბლინიდან, ტოტალიზატორები რუსეთ-ჰოლანდიაზე სტავკებს სამი საათით ადრე აღარ იღებდნენო, აზრზე ხარ, ტო?

— კაროჩე, მაგ ამბავში გაზპრომის ტრუბები ურევია. გუშინ ისიც გავიგე, რო გაზპრომს ერთი კვირის წინ ჰოლანდიაში რაღაც კომპანია უყიდია.

ევროპა რუსებს იავნად უწვება, ძმაო, ჩემპიონთა თასის ფინალი ხო მოსკოვს მისცეს, „ლევერკუზენმა" და „ბაიერნმა" „ზენიტი" უეფას თასის ფინალში გაატარეს.

— ცვეტში ნაჩალიჩარი თამაში იყო. აბა, რა პონტია, ტო, ტიპებმა იტალიასთან და ფრანგებთან იფრინეს, რუსებთან კიდე სკამები არა ჰქონდათ, თორე უეჭველი დასხდებოდნენ.

— პროსტაამც, ვერ დავიჯერებ, რო სნეიდერს, ნისტელროის, ვან დერ ვაარტს და კუიტს რუსებმა თამაშით მოუგეს. ხოკეი რო ყოფილიყო, კიდე ხო, მარა ფუტბოლში შანსი არაა.

— თან, რა პონტი იყო, დააკვირდი? ჰოლანდიელებს ერთი პადკატი არ გაუკეთებიათ. როგორ შეილება, რო ფუტბალისტმა ჩეტვერტფინალში პადკატი არ იკისროს, ტო!

— კაროჩე, ჰოლანდია ყოფილა სუპერდუქარდი. იტალიასთან და ფრანგებთან ხო დააყირავა ხალხი, თავი დაარეკლამა და რუსებთან გრანდიოზული პარსვა ჩაგვიტარა.

— ხვალ რას ფიქრობ, თურქეთი ხარ?

— არა ტო! რა თურქეთი. ეხლა იმენა უეჭველი ვიცი, რო ფინალში გერმანია და რუსეთი გავლენ, იქ კიდე მერკელი გაზპრომს დაუწვება.

**ჭუში ჭოშმარია**

ჩემი ბილეთი:
001 გაზპრომი — ევროპა
შედეგი: 2,5 და ნაკლები პადკატი
სავარაუდო მოგება: დაგაზული არაყი
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ,
თუ რა თანამდებობა შესთავაზეს
მარკო ვან ბასტენს გაზპრომში.

114140 *

# ბირჰოფი: მადლობა ხორვატიას ჩვენი დამარცხებისთვის

**გერმანიის** ნაკრების მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი მიიჩნევს, რომ ჯგუფურ ეტაპზე ხორვატებთან მარცხმა (1:2) ბუნდესნაკრებზე კარგად იმოქმედა. ამის დამადასტურებლად იგივე ხორვატიის, პორტუგალიის, ჰოლანდიის ნაკრებების მაგალითად მოყვანა კმარა, რომლებმაც ჯგუფური ეტაპი ბრწყინვალეს, დამაჯერებლად ჩაატარეს, მაგრამ ახლა სახლში არიან.

„პლეი ოფის საგზურის ადრე მოპოვებამ ხშირად, შესაძლოა, ცუდი სამსახური გაგიწიოს. როცა ჯგუფში გამარჯვებებს იოლად აღწევ, ძნელია, შეინარჩუნო საჭირო განწყობა და შემართება. ხორვატებთან მარცხი სულაც არ ყოფილა ცუდი, მან ფხიზლად დაგვტოვა და ახლა რომც მოვინდომოთ, ვერ მოვდუნდებით, რადგან ნახევარფინალში ვართ და დაძაბულობა პიკს აღწევს" — თქვა სახელგანთქმულმა გერმანელმა.

ბირჰოფმა ისიც თქვა, ხუთშაბათს პორტუგალიელებთან მოგების მერე, ბიჭებს გართობისა და ფეხბურთისგან დასვენების საშუალება მივეცით, მაგრამ ორშაბათიდან ისევ სრული დატვირთვით გავაგრძელებთ ვარჯიშსა და მზადებასო.

შეგახსენებთ, რომ გერმანია ევროპის ჩემპიონი ბოლოჯერ 1996 წელს გახდა. მაშინ ბუნდესნაკრებმა ძალიან დაძაბულ ფინალში ჩეხეთს ბირჰოფის დუბლით მოუგო.

**ჭოჭი ჭანდელაკი**



## გერმანიას ინგლისი ურჩევნია

**ჰოლანდიის** ნაკრებისა და „ტვენტეს" ნახევარმცველმა ორლანდო ენგელაარმა ინგლისური „ევერტონი" და „ნიუკასლი" დააინტერესა.

„ფაქტობრივად ყველაფერზე მოველაპარაკეთ „შალკეს", მაგრამ ახლა ინგლისური კლუბების ვარიანტი გაჩნდა და ვეცდებით, რომელიმეს შევუთანხმდეთ. ორლანდოს პრემიერლიგაში ურჩევნია კარიერის გაგრძელება" — თქვა ენგელაარის აგენტმა ედუარდ ბარლესონმა.

## კანეირა სპორტინგში გადადის

**ესპანური** „ვალენსიას" მცველი მარკუ კანეირა კარიერას ალბათ ლისაბონის „სპორტინგში" გააგრძელებს. მხარეები თითქმის ყველაფერზე შეთანხმებულან. გარდა ამისა, „ღამურებს" დავიდ ალბელდასთანაც განშორება აქვთ გადაწყვეტილი. მას ლონდონის „ჩელსი" ეპატიჟება.

## შტუტგარტის ულტიმატუმი

**გერმანული** „შტუტგარტის" სპორტულმა დირექტორმა ჰორსტ ჰელდტმა განაცხადა, რომ კლუბი ამ ეტაპზე მარიო გომესთან განშორებას არ აპირებს. „მიუნხენის „ბაიერნის" წარმომადგენლებს ვესაუბრეთ და ვუთხარით, რომ გომესი არ იყიდება. მას წასვლის ნება მხოლოდ მომავალ ზაფხულში ექნება, ისიც — რომელიმე უცხოურ კლუბში და 35 მილიონ ევროზე ნაკლებად არ გავყიდით" — აღნიშნა ჰელდტმა.

## მერტეზაკერი 2014

**ბრემენის** „ვერდერის" 23 წლის მცველმა პერ მერტეზაკერმა კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე გაახანგრძლივა. „ევრო 2008-ზე ეროვნული ნაკრების წარმატებული თამაში და კლუბთან გაფორმებული ახალი კონტრაქტი ძალიან მახარებს. „ვერდერში" თავს ჩინებულად ვგრძნობ, ჩვენი მიზანი ტიტულების მოგებაა" — განაცხადა მერტეზაკერმა.

## რაკიტიჩს დარჩენა უნდა

**ხორვატიის** ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა ივან რაკიტიჩმა განაცხადა, რომ გელზენკირხენის „შალკეში" დარჩენა სურს. არადა, მისით „იუვენტუსი", „ინტერი" და სხვა გრანდები არიან დაინტერესებულნი.

„კლუბთან კონტრაქტი 2011 წლის ზაფხულამდე მაქვს და მინდა, მის დასრულებამდე „შალკეში" ვიყო" — თქვა 20 წლის რაკიტიჩმა.

## მილანმა აუბამეიანგი გაანათხოვრა

**იტალიურმა** „მილანმა" ვილი-პიერ აუბამეიანგი „დიჟონში" გაანათხოვრა. 21 წლის ფეხბურთელი საფრანგეთის მეორე დივიზიონის მკვიდრ კლუბში ზუსტად 12 თვეს გაატარებს და უკვე სათამაშო პრაქტიკამიღებული დაუბრუნდება „როსონერის", რომელიც მერე გადაწყვეტს, თუ როგორ მოექცეს აუბამეიანგს.

## კნეჟევიჩი იუვეში?

**იტალიური** პრესის ცნობით, ტურინის „იუვენტუსში" ხორვატი მცველი დარიო კნეჟევიჩი გადავა. „ბებერი ქალბატონი" სერია B-ში გავარდნილი „ლივორნოსგან" მას დაახლოებით 300 ათას ევროდ ერთი წლით ინათხოვრებს, მომავალ ზაფხულს კი „ბიანკონერის" კნეჟევიჩის კონტრაქტის ნახევრის, ხოლო შემდგომში მისი მთლიანად გამოსყიდვა შეეძლებათ. 26 წლის ფეხბუთელს ამჟამად მუხლის ტრავმა აქვს და რამდენიმე კვირა უქმად მოუწევს ყოფნა.

## პავლიუჩენკოს ბოლონია იწვევს

**ევროპის** ჩემპიონატზე საკმაოდ კარგად მოთამაშე რომან პავლიუჩენკო, შესაძლოა, სერია A-ში დაბრუნებულ „ბოლონიაში" ვიხილოთ. ამბობენ, „როსობლუ" მასში დაახლოებით 10 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებსო, მაგრამ მსურველები სხვანიც არიან. 26 წლის რუსმა ფორვარდმა, მოსკოვის „სპარტაკის" მაისურით ბოლო ორ სეზონში 41 გოლს მოუყარა თავი.

## ბლექბერნში ინსი დაინიშნა

**პოლ ინსი,** რომელსაც ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ინგლისელ მწვრთნელად მიიჩნევენ და ვისზეც დიდ იმედებს ამყარებენ, „ბლექბერნის" თავკაცი გახდა. მან პოსტზე „მანჩესტერ სიტიში" წასული მარკ ჰიუზი შეცვალა და კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

40 წლის ინსმა სამწვრთნელო კარიერა „მაკლსფილდში" დაიწყო. წელს იგი „მილტონს" წვრთნიდა და გუნდს II ლიგა მოაგებინა. მისი ოფიციალური წარდგენა სამშაბათსაა დაგეგმილი.

## ლივერპულს სილვა მოუნდა

**რაფაელ ბენიტესს** „ლივერპულში" კიდევ ერთი თანამემამულის, დავიდ სილვას მიყვანა უნდა. ესპანეთის ნაკრებისა და „ვალენსიას" ახალგაზრდა ვარსკვლავი სხვა გრანდების ყურადღების ცენტრშიც არის. თუმცა მერსისაიდელების მთავარი კოზირი სკაუტი ედუარდო მაისაა, ვინც თავის დროზე, სილვა აღმოაჩინა და „ვალენსიაში" მიიყვანა. „ღამურების" არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, „ენფილდის" ბინადრებს იმედი აქვთ, რომ 22 წლის ნახევარმცველს ხელში 14 მილიონ ევროდ ჩაიგდებენ, არადა „მესტალიას" მკვიდრნი ორჯერ მეტს ითხოვენ.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ– შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## მეოთხედფინალი

### №27 ჰოლანდია 1:3დ.დ. (1:1) რუსეთი

21 ივნისი. ბაზელი (შვეიცარია). „სტ. იაკობ-პარკი". 39 730 მაყურებელი

0:1 პავლიუჩენკო (56), 1:1 ვან ნისტელროოი (86), 1:2 ტორბინსკი (112), 1:3 არშავინი (116)

1 ვან დერ სარი

მწვრთნელი
მარკო ვან ბასტენი

21 ბულარუზი 2 ოიერი 4 მატიისენი 5 ვან ბრონკჰორსტი

17 დე იონგი 8 ენგელაარი

18 კუიტი 23 ვან დერ ვაარტი 10 სნეიდერი

9 ვან ნისტელროოი

19 პავლიუჩენკო

10 არშავინი

9 საენკო 20 სემშოვი 17 ზირიანოვი

11 სემაკი

18 ქირკოვი 8 კოლოდინი 4 იგნაშევიჩი 22 ანიუკოვი

მწვრთნელი
გუს ჰიდინკი

1 აკინფეევი

შეცვლა: კუიტი – 7. ვან პერსი (46), ბულარუზი – 3. ჰეიტინგა (56), ენგელაარი – 20. აფელაი (62), სემშოვი – 15. ბილიალეტდინოვი (60), საენკო – 7. ტორბინსკი (81), პავლიუჩენკო – 21. სიჩოვი (115)

გაფრთხილება: ბულარუზი (50), ვან პერსი (55), ვან დერ ვაარტი (60), კოლოდინი (71), ქირკოვი (103), ტორბინსკი (111)

მსაჯები: ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი);
რომან სლიშკო (სლოვაკეთი), მარტინ ბალკო (სლოვაკეთი)

| | | |
|---|---|---|
| 23 | ჯარიმა | 27 |
| 4 | კუთხური | 11 |
| 15 | კარისკენ დარტყმა | 13 |
| 8 | კარში დარტყმა | 11 |
| 6 | თამაშგარე | 4 |
| 39,17 წთ | ბურთის ფლობა | 34,14 წთ |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

## ვინ რა თქვა

*გუს ჰიდინკი:* „ძალზე მეამაყება ჩემი გუნდის მიღწევით. შვედებთან ურთულესი მატჩის შემდეგ ძალების აღსადგენად ორი დღეღა გვრჩებოდა და ტაქტიკური მეცადინეობებისთვის საერთოდ ვერ მოვიცალეთ. ჰოლანდიელებს ანგარიში გავათანაბრებინეთ, მაგრამ ოვერტაიმში ბიჭებმა სასწაული მოახდინეს".

*მარკო ვან ბასტენი:* „თამაში ცუდად დავიწყეთ და ის ფეხბურთი ვერ ვაჩვენეთ, რომლითაც თავს ჯგუფურ ეტაპზე ვიწონებდით. არ ვიცი, ასე რატომ მოხდა — შესაძლოა, მეტისმეტად ვნერვიულობდით. შესვენების შემდეგ თამაშის გადაწყობა ვცადეთ — კუიტის ნაცვლად რობინ ვან პერსი შევიყვანე და შეტევის გამოცოცხლება დავავალე, მაგრამ ყოველივე ამაო აღმოჩნდა..."

გუნდების ცენტრალური ნახევარმცველები სხვებზე მეტად დაიტვირთნენ. რუსთა კაპიტან სერგეი სემაკს კიდევ ათიოდე მეტრიც რომ გაერბინა, 15-კილომეტრიან ზღვარს დალაშქრავდა, ხოლო ჰოლანდიელთაგან ყველაზე აქტიური რაფაელ ვან დერ ვაარტი იყო, ვინც 14 730 მეტრი დაფარა.

უესლი სნეიდერმა 10 დარტყმა შეასრულა, რომელთაგან კარის ჩარჩოში მხოლოდ 2 წავიდა. აი, ვან დერ ვაარტსა და ანდრეი არშავინს კი 5-5 დარტყმიდან ზუსტი 3-3 გამოუვიდათ.

მეკარეებმა, იგორ აკინფეევმა და ედვინ ვან დერ სარმა 7-7 დარტყმა მოიგერიეს.

კონსტანტინ ზირიანოვმა 6 კუთხური ჩააწოდა, ხოლო იური ჟირკოვი ყველაზე მეტჯერ დაჯარიმდა — 6-ჯერ.



ჰოლანდიელებმა ანდრეი არშავინი ვერ შეაჩერეს

# ნარინჯისფერთა შავი დღე

**ხალიდ ბულარუზის** ფეხმძიმე მეუღლეს ნაადრევი მშობიარობა დაეწყო და ახალშობილი ქალიშვილი გარდაეცვალა. მცველი ნაკრებიდან გაათავისუფლეს, მაგრამ ბულარუზმა წასვლა იუარა და რუსების წინააღმდეგ თამაში გადაწყვიტა.

ცხადია, ჰოლანდიელი ფეხბურთელები მინდორზე შავი სამკლავურებით იყვნენ. ალბათ, ეს ტრაგიკული ფაქტი გახლდათ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ „ნარინჯისფერთა" თამაშს წინა შეხვედრებში ნაჩვენები ხალისიც აკლდა, ემოციაც და აგრესიაც. ეს „იმ" ჰოლანდიის აჩრდილი იყო.

მარკო ვან ბასტენის შეგირდები თავიდანვე არეულნი იყვნენ, რუსები კი, პირიქით, მწყობრად და კარგად გამოიყურებოდნენ, მათ ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და დამსახურებულად გავიდნენ ნახევარფინალში.

გუს ჰიდინკმა პირწმინდად აჯობა ვან ბასტენს და რუსების ნახევარფინალში გყვანით მორიგ დიდ წარმატებას მიაღწია თავის შთამბეჭდავ კარიერაში. მატჩამდე თქვა კიდეც — მზად ვარ, სამშობლოში მოღალატედ შემრაცხონ, ოღონდ ეს თამაში მოვიგოთო.

ჰიდინკის შეგირდების რამდენიმე სახიფათო იერიშს „ნარინჯისფერებმა" დაახლოებით მე-20 წუთზე უპასუხეს, როცა რუსები დაცვაში შეცდნენ და ამით უესლი სნეიდერს შეეძლო სარგებლობა, მაგრამ ბოლო მომენტში მას დაუფარეს.

ამას მოჰყვა ორლანდო ენგელაარის სახიფათო დარტყმა და რაფაელ ვან დერ ვაარტის მწვავედ ჩაწოდებული ჯარიმა, როცა რუუდ ვან ნისტელროოი ვარდნაში ბურთს სულ ოდნავ აცდა. თუმცა ჰოლანდიელები ფაქტობრივად ამ მონაკვეთით შემოიფარგლნენ, მერე თამაში ისევ რუსებისა იყო.

ანდრეი არშავინის ბრწყინვალე დარტყმას ედვინ ვან დერ სარი დიდი გაჭირვებით გაუმკლავდა. ამას დენის კოლოდინის ორი ყუმბარისებური გასროლა მოჰყვა — პირველი ვან დერ სარმა მოიგერია, მეორე კი მიზანს ოდნავ ასცდა.

საოცრად მშვიდად და დამაჯერებლად მოთამაშე რუსთა მეკარემ იგორ აკინფეევმა თავი ამჯერადაც გამოიჩინა. მან ვან ნისტელროოის სახიფათო დარტყმა უვნებელყო.

როგორც ჩანს, ვან ბასტენმა შესვენებისას მოიფიქრა, დირკ კუიტის ნაცვლად რობინ ვან პერსის შევუშვებ, თამაშს გავახალისებ და ეგებ უფრო გავააქტიურდეთ შეტევაშიო, მაგრამ...

რუსები არ ცხრებოდნენ. არშავინმა, რომელმაც დიდებული მატჩი ჩაატარა და მის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს, შორიდან მწვავედ დაარტყა ჯარიმა.

მალევე ანგარიშიც გაიხსნა — რუსებმა ტრადიციული დაბალი სწრაფი პასებით მორიგი კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც სერგეი სემაკის გადაცემის შემდეგ დასწრებაზე მოთამაშე რომან პავლიუჩენკომ დააგვირგვინა.

სხვათა შორის, პავლიუჩენკო სულაც არ მოიაზრებოდა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად და ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე პაველ პოგრებნიაკს ტრავმა რომ არ მიეღო... მის ანგარიშზე უკვე მესამე გოლია, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვის „სპარტაკის" ფორვარდი ძალიან ბევრ რეალურ მომენტს ანიავებს...

ჰოლანდიელები არეულად თამაშს აგრძელებდნენ და ხეირიანს ვერაფერს ქმნიდნენ. აი, რუსებს კი 4-5 აშკარა საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს და კინაღამ დაისაჯნენ — ფაქტობრივად მოგებული მატჩის ბედი ეჭვქვეშ დააყენეს. 86-ე წუთზე სნეიდერმა კარგად ჩააწოდა ჯარიმიდან, ვან ნისტელროოიმ კი თავით გაიტანა. ჰოლანდიელებს ჯარიმებიდან ჩაწოდებისას თუ გამოსდიოდათ რამე და ამან შედეგიც გამოიღო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ძირითად დროში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, დამატებით ტაიმებში კი ძალიან მძიმე საყურებელი გახლდათ, თუ როგორ უტევდა რუსეთი საკუთარ საჯარიმოსთან მიჯაჭვულ, თითქოს შეშინებულ და ქანცგაწყვეტილ ჰოლანდიას.

თავიდან „ნარინჯისფერები" რაღაცას ცდილობდნენ, მაგრამ მომენტები რუსებმა შექმნეს. პავლიუჩენკომ შორიდან კარგად დაარტყა და ჰოლანდია ძელმა იხსნა. დმიტრი ტორბინსკიმ არშავინის მშვენიერი პასი ვერ შეირგო, ხოლო კოლოდინის მორიგი გასროლილი ცოტა ასცდა მიზანს.

მეორე დამატებითი ტაიმი კი რუსებმა ორმაგი მონდომებით დაიწყეს და მყისვე ორი მწავე მომენტი შექმნეს. პირველ ეპიზოდში ჰოლანდია გოლს ბედის წყალობით გადაურჩა.

ყველაფერი კი 112-ე წუთზე გადაწყდა, როცა შეუჩერებელი არშავინი მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და შორეულ ძელთან ჩააწოდა ბურთი, რომელსაც ტორბინსკიმ ჩაუსწრო და ცარიელ კარში უპრობლემოდ შეაგდო.

ჰოლანდიელები საბოლოოდ გატყდნენ, ხოლო 116-ე წუთზე თავად არშავინმაც გაიტანა დამსახურებული გოლი. რუსებმა სწრაფად და ჭკვიანურად ჩააწოდეს აუტი, 27 წლის ზენიტელმა მახვილი კუთხიდან დაარტყა, ბურთი ჯონი ჰეიტინგას შეეხო და ვან დერ სარს ფეხებშუა გაუძვრა.

აღსანიშნავია ერთი საინტერესო ეპიზოდიც, როცა კოლოდინმა უხეში თამაშისთვის ყვითელი ბარათი მიიღო და იმ დროისთვის მას უკვე ჰქონდა ერთი გაფრთხილება. თუმცა ლიუბოშ მიხელმა, ლაინსმენთან კონსულტაციის შემდეგ, გადაწყვეტილება შეცვალა და, შესაბამისად, მოსკოვის „დინამოს" მცველი წითელს გადაურჩა. ისე, იშვიათად ხდება, მსაჯი გადაწყვეტილებას ცვლიდეს.

სამაგიეროდ კოლოდინი ვერ გადაურჩა დისკვალიფიკაციას, ისევე როგორც ტორბინსკი — მათ თითო ყვითელი წინა მატჩებში მიღებული ჰქონდათ და ახლა ნახევარფინალის გამოტოვება მოუწევთ. ჰიდინკისთვის უპირველესად კოლოდინის არყოფნა იქნება სერიოზული პრობლემა.

**გიორგი ქაქაბაძე**

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**

ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

## მეოთხედფინალი

## №28 ესპანეთი 0:0დ.დ. (4:2პ) იტალია

22 ივნისი. ვენა (ავსტრია). „ერნსტ ჰაპელი". 51 428 მაყურებელი

პენალტების სერია: 1:0 ვილია, 1:1 გროსო, 2:1 კასორლა, 2:1 დე როსი (მეკარე), 3:1 სენა, 3:2 კამორანეზი, 3:2 გუისა (მეკარე), 3:2 დი ნატალე (მეკარე), 4:2 ფაბრეგასი

1 კასილიასი

მწვრთნელი
ლუის არაგონესი

15 სერხიო რამოსი 4 მარჩენა 5 პუიოლი 11 კაპდევილა

21 სილვა 19 სენა 8 ხავი 6 ინიესტა

7 ვილია 9 ტორესი

18 კასანო 9 ტონი

20 პეროტა

13 ამბროზინი 10 დე როსი 20 აკვილანი

3 გროსო 4 კიელინი 2 პანუჩი 19 ზამბროტა

მწვრთნელი
რობერტო დონადონი

1 ბუფონი

შეცვლა: პეროტა – 16. კამორანეზი (58), ინიესტა – 12. კასორლა (59), ხავი – 10. ფაბრეგასი (60), კასანო – 11. დი ნატალე (75), ტორესი – 17. გუისა (85), აკვილანი – 7. დელ პიერო (108)

გაფრთხილება: ი ნიესტა (11), ამბროზინი (31), ვილია (72), კასორლა (112)

მსაჯები: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია); კარსტენ კადახი (გერმანია), ფოლკერ ვეცელი (გერმანია)

| | | |
|---|---|---|
| 26 | ჯარიმა | 25 |
| 8 | კუთხური | 3 |
| 15 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 6 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 4 |
| 49,13 წთ | ბურთის ფლობა | 37,35 წთ |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

## ვინ რა თქვა

***იკერ კასილიასი:*** „ნახევარფინალში გავედით და, რა თქმა უნდა, ბედნიერები ვართ. ახლა კი ფინალში გასვლაზე ვფიქრობთ."

***რობერტო დონადონი:*** „ასეთი თამაშის მერე, რომელშიც სული ჩავდეთ და თავი არ დაგვიზოგავს, პენალტებით დავმარცხდით. ცხადია, ამის გამო ბედნიერები ვერ ვიქნებით. უზარმაზარი ენერგია დავხარჯეთ და ბუნებრივია, საოცრად იმედგაცრუებულები ვართ."

***სესკ ფაბრეგასი:*** „ეს საოცრებაა! სიტყვები არ მყოფნის გადმოსაცემად, თუ რას ვგრძნობ. ამას თაობები ელოდნენ და ახალგაზრდული გუნდით მივაღწიეთ."

***ლუის არაგონესი:*** „პირველ რიგში თითოეულ ჩემს ფეხბურთელს ვულოცავ ამ გამარჯვებას. ბიჭებმა სათამაშო დისციპლინა ზედმიწევნით დაიცვეს და მტკიცე ხასიათი გამოვლინეს." ახლა ნახევარფინალზე ვფიქრობთ, ყველამ ვიცით, რომ რუსეთს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს და უმძიმესი ბრძოლა გველის, თუმცა დარწმუნებული ვარ, ფინალში მაინც ჩვენ გავალთ.





# სიკვდილის ჯგუფიდან ცოცხალი აღარავინ დარჩა

ფრანგები და რუმინელები მალევე „დაიხოცნენ", ჰოლანდიას რუსეთმა გამოუსვა ცელი, მსოფლიოს ჩემპიონი იტალია კი თანაჯგუფელებს წუხელ დაეწია. აი, სულ ეს გამოვიდა ყბადაღებული სიკვდილის ჯგუფი.

ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი სახლშია, ფინალისტი პორტუგალიაც მას მიჰყვა, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი საფრანგეთიც დაემშვიდობა ევრო 2008-ს და სრული კოლექციისთვის ამ სამეულს იტალიაღა აკლდა.

1984 წლის შემდეგ პირველად, ესპანეთი დიდი ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. მეოთხედფინალებში ხუთჯერ იყო, მაგრამ იმის იქით ნაბიჯს ველარ დგამდა. ლუის არაგონესის ოთხწლიანი შრომა დაფასდა.

1980-ში იტალიამ და ესპანეთმა ჯგუფურ ეტაპზე უგოლოდ ითამაშეს, რვა წლის მერე „სკუადრა აძურამ" ასევე ჯგუფში 1:0 მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონატის (1994) მეოთხედფინალშიც იტალიელებმა 2:1 იმარჯვეს.

გუშინ მეოთხე შეხვედრა იყო ამ გუნდებისა დიდ ტურნირზე და ესპანეთმა გაარღვია იტალიური წრე, ოღონდ საამისოდ იკერ კასილიასის ნახტომები დასჭირდა.

მადრიდის „რეალის" მეკარემ თამაშის დროსაც ორჯერ იხსნა კარი, როცა კამორანეზის დარტყმული ფეხით, დი ნატალეს თავური კი ხელით მოიგერია და პენალტების სერიაში გმირი გახდა.

ჯგუფების პირველადგილოსნებიდან მხოლოდ ესპანეთმა მოახერხა ნახევარფინალში გასვლა და აქვე ვთქვათ, რომ 1984 წლის შემდეგ, ჯგუფში სამივე თამაშის მომგები არცერთი გუნდი ჩემპიონი არ გამხდარა. მაშინ ეს საფრანგეთმა შეძლო და ვნახოთ, გაიმეორებს თუ ვერა ესპანეთი ფრანგების მიღწევას.

წუხანდელი მატჩი კი მაღალი კლასის გუნდების საკადრისი გამოდგა — ფრთხილი და მწირმომენტიანი, მაგრამ ისეთი, ნებისმიერი შეცდომა მაყურებლის ჟრიამულს რომ იწვევს.

მაგრამ შეცდომებიც არ იყო ბევრი. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელებმა ბურთიც დაღალეს და გულშემატკივრის თვალიც აურაცხელი პასებით, მაინც ვერ შეძლეს იტალიური დაცვის გახსნა, რომელსაც ჯორჯო კიელინი აბეტონებდა.

ჩემპიონატის მთავარმეგოლე დავიდ ვილიამ ვერ გაიტანა, მაგრამ გვარიანად ირბინა და პენალტი მაინც შეაგდო.

ხავის და ინიესტას არ წაუვიდათ თამაში და არც მათი შემცვლელები ბრწყინავდნენ, თუმც ორივემ — ფაბრეგასმა და კასორლამაც — პენალტების სერიაში ივარგა.

შეცვლაზე შესულმა კამორანეზიმ და დი ნატალემ დაატყვეს ფეხი თამაშს, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა გოლის გასატანად.

სამწუხაროდ, ტურნირი უგოლოდ დატოვა ლუკა ტონიმ, ხოლო ჩემპიონატის ბომბარდირები დავიდ ვილია (4) და რომან პავლიუჩენკო (3) ზეგ მეორედ შეხვდებიან ერთმანეთს.

ჯგუფში ეპანეთმა რუსეთს 4:1 აგემა და ლუის არაგონესმა ერთ მდინარეში მეორედ შესვლა უნდა სცადოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დავიდ ვილია (ესპანეთი) | 4 |
| ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია) | 3 |
| ჰაქან იაქინი (შვეიცარია) | 3 |
| რომან პავლიუჩენკო (რუსეთი) | 3 |

**მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ**

**euro_fan_2008@yahoo.com**



კოტდივუარელმა სეკუ სისემ (№10) ბოტსვანის დუბლი გაუტანა

## არგენტინა

### კლაუსურა. XIX ტური

არგენტინოსი 2:1 როსარიო
ხიმნასია (ლ. პ.) 1:2 ლანუსი
ურაკანი 1:2 ველესი
ნიუელსი 1:0 სან მარტინი
ინდეპენდიენტე 1:1 არსენალი
ბანფილდი 2:3 რივერ პლეიტი
კოლონი 1:0 რასინგი
ხიმნასია (ხ.) 2:2 სან ლორენსო
ოლიმპო 1:2 ესტუდიანტესი
ბოკა ხუნიორსი — ტიგრე
გუშინ გვიან დასრულდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 19 | 13 | 4 | 2 | 29:13 | 43 |
| ესტუდიანტესი | 19 | 11 | 6 | 2 | 29:16 | 39 |
| ბოკა ხუნიორსი | 18 | 10 | 6 | 2 | 27:13 | 36 |
| სან ლორენსო | 19 | 11 | 2 | 6 | 30:21 | 35 |
| ველესი | 19 | 9 | 5 | 5 | 24:17 | 32 |
| ინდეპენდიენტე | 19 | 8 | 7 | 4 | 25:15 | 31 |
| არგენტინოსი | 19 | 9 | 3 | 7 | 23:24 | 30 |
| ნიუელსი | 19 | 8 | 5 | 6 | 21:19 | 29 |
| როსარიო | 19 | 7 | 6 | 6 | 26:23 | 27 |
| არსენალი | 19 | 7 | 4 | 8 | 22:25 | 25 |
| კოლონი | 19 | 6 | 5 | 8 | 25:27 | 23 |
| ბანფილდი | 19 | 6 | 4 | 9 | 36:36 | 22 |
| ურაკანი | 19 | 5 | 7 | 7 | 15:17 | 22 |
| ტიგრე | 18 | 6 | 4 | 8 | 22:31 | 22 |
| ოლიმპო | 19 | 6 | 2 | 11 | 21:32 | 20 |
| ლანუსი | 19 | 5 | 3 | 11 | 26:39 | 18 |
| ხიმნასია (ლ.პ.) | 19 | 4 | 5 | 10 | 19:26 | 17 |
| სან მარტინი | 19 | 5 | 2 | 12 | 20:30 | 17 |
| ხიმნასია (ხ.) | 19 | 2 | 9 | 8 | 20:28 | 15 |
| რასინგი | 19 | 2 | 9 | 8 | 14:22 | 15 |

## ურუგვაი

### ფინალი. I მატჩი

პენიაროლი 1:2დეფენსორი

## ჩილე

### კლაუსურა. I ტური

ესპანიოლა 1:0 მელიპილია
ლა სერენა 1:1 აუდაქსი
უაჩიპატო 1:2 კობრელოა
ნუბლენსე 2:2 რეინჯერსი
მონინგი 1:0 უნ. კატოლიკა
ოჰიგინსი 3:3 კონსეპსიონი
ანტოფაგასტა 0:3 პალესტინო
დეპ. კონსეპსიონი — უნივერსიდადი
გადაიდო

## აფრიკის ერთვნებათა თასი შესარჩევი ეტაპი

### IV ჯგუფი

სამხ. აფრიკა 0:0 სიერა ლეონე

## ბრაზილია

### სერია A. VII ტური

ბოტაფოგუ 0:1 პორტუგეზა
კურიტიბა 2:1 ფლუმინენსე
კრუზეირუ 3:0 ფიგეირენსე
სან პაულუ 1:0 რესიფე
იპატინგა 1:3 ფლამენგუ
ვასკუ 0:2 პალმეირასი
ვიტორია 2:1 ინტერნასიონალი
გრემიუ — ატლ. პარანაენსე
ნაუტიკუ — ატლ. მინეირუ
სანტოსი — გოიასი
გუშინ გვიან დასრულდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლამენგუ | 7 | 5 | 1 | 1 | 16:7 | 16 |
| კრუზეირუ | 7 | 5 | 1 | 1 | 14:6 | 16 |
| პალმეირასი | 7 | 5 | 1 | 2 | 13:8 | 16 |
| გრემიუ | 6 | 4 | 1 | 1 | 9:3 | 13 |
| სან პაულუ | 7 | 3 | 3 | 1 | 12:6 | 12 |
| ნაუტიკუ | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| პორტუგეზა | 7 | 3 | 2 | 2 | 12:12 | 11 |
| კურიტიბა | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 9 |
| ატლეტიკო-მინ. | 6 | 2 | 3 | 1 | 9:9 | 9 |
| ატლეტიკო-პარ. | 6 | 2 | 2 | 2 | 8:4 | 8 |
| ვიტორია | 7 | 2 | 2 | 2 | 5:4 | 8 |
| ვასკუ | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 |
| რესიფე | 7 | 2 | 2 | 3 | 6:8 | 8 |
| ფიგეირენსე | 7 | 2 | 2 | 3 | 10:19 | 8 |
| ინტერნასიონალი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | 7 |
| ბოტაფოგუ | 7 | 2 | 1 | 4 | 6:9 | 7 |
| სანტოსი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| იპატინგა | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | 5 |
| გოიაში | 6 | 0 | 3 | 3 | 3:12 | 3 |
| ფლუმინენსე | 7 | 0 | 2 | 5 | 4:10 | 2 |

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XV ტური

კორკი 5:0 კობი
დროჰედა 0:1 დერი
სტ. პატრიკსი 1:1 ბრეი
შემროკი 3:1 გოლუეი
სლიგო 0:0 დუბლინი
ფინ ჰერპსი — ბოჰემიანსი
ხვალ გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოჰემიანსი | 14 | 10 | 3 | 1 | 20:7 | 33 |
| სტ. პატრიკსი | 15 | 9 | 4 | 2 | 23:11 | 31 |
| დერი | 15 | 8 | 5 | 2 | 20:10 | 29 |
| კორკი | 15 | 7 | 5 | 3 | 25:13 | 26 |
| დროჰედა | 15 | 6 | 4 | 5 | 18:11 | 22 |
| ბრეი | 15 | 6 | 4 | 5 | 12:19 | 22 |
| სლიგო | 15 | 5 | 5 | 5 | 17:15 | 20 |
| შემროკი | 15 | 4 | 6 | 5 | 15:14 | 18 |
| უ.კ.დუბლინი | 15 | 2 | 7 | 6 | 11:17 | 13 |
| ფინ ჰარპსი | 14 | 3 | 2 | 9 | 10:22 | 11 |
| კობი | 15 | 2 | 3 | 10 | 7:25 | 9 |
| გოლუეი | 15 | 1 | 4 | 10 | 11:25 | 7 |

## აშშ

### მეიჯორლიგა. XIV ტური

ჩივასი 2:0 ჩიკაგო
ტორონტო 0:0 კანზასი
ნიუ იორკი 1:0 დალასი
კოლორადო 0:0 ჰიუსტონი
სოლტ ლეიკი 2:1 ნიუ ინგლენდი
ლოს ანჯელესი 3:3 კოლამბუსი
ვაშინგტონი 3:1 სან ხოსე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ინგლენდი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:17 | 27 |
| კოლამბუსი | 13 | 7 | 2 | 4 | 20:17 | 23 |
| ტორონტო | 13 | 6 | 3 | 4 | 17:16 | 21 |
| ლოს ანჯელესი | 13 | 6 | 3 | 4 | 31:24 | 21 |
| ჩიკაგო | 12 | 6 | 1 | 5 | 20:11 | 19 |
| სოლტ ლეიკი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:18 | 19 |
| ვაშინგტონი | 14 | 6 | 1 | 7 | 24:25 | 19 |
| ნიუ იორკი | 13 | 5 | 4 | 4 | 14:17 | 19 |
| ჰიუსტონი | 14 | 4 | 6 | 4 | 16:18 | 18 |
| ჩივასი | 13 | 5 | 2 | 6 | 19:19 | 17 |
| კოლორადო | 13 | 5 | 1 | 7 | 19:18 | 16 |
| დალასი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:20 | 16 |
| კანზასი | 12 | 3 | 4 | 5 | 10:16 | 13 |
| სან ხოსე | 13 | 3 | 2 | 8 | 10:20 | 11 |

## ინტერტოტოს თასი

### I ეტაპი. I მატჩები

ლისბერნი 2:3 ტურკუ
მიკა 2:2 ტირასპოლი
ეცელა 0:0 ლოკომოტივი
რიგა 1:2 ფილკირი
კრაკოვია 1:2 შახტიორი
ჰიბერნიანსი 0:3 გორიცა
ნეფთჩი 2:0 ნიტრა
რიეკა 0:0 რენოვა
ცელიკი 3:2 გრბალი
ბოჰემიანსი 5:1 რილი
ბესა 0:0 ეთნიკოსი
ჟეტისუ 1:2 ჰონვედი
ტორსჰავნი 1:4 ელფსბორგი
ეკრანასი 1:0 ტრანსი

## შვედეთი

### სუპერეტა. XII ტური

ენგელჰოლმი 0:0 ლანდსკრუნა
ატვიდაბერგი — ენჩოპინგი
ბუნკეფლო — ვასბიუ
დეგერფორსი — ქვიდინგი
იონჩოპინგი — სირიუსი
მაილბიუ — ჰეკენი
იორგრიტე — ბრომაპოიკარნა
დღეს გაიმართება

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### ჩრდ. და ცენტრ. ამერიკა

კანადა 4:1 სტ. ვინსენტი
სტ. ლუსია 1:3 გვატემალა
კოსტა რიკა 3:0 გრენადა
მექსიკა 7:0 ბელიზი
ბარბადოსი 0:1 აშშ
გაიანა 1:2 სურინამი
სალვადორი — პანამა
ბერმუდა — ტრინიდადი
კუბა — ანტიგუა და ბარბუდა
ნიდ. ანტილები — ჰაიტი
გუშინ გვიან დასრულდა

### ოკეანეთი

ახალი კალედონია 3:0 ვანუატუ

### აზია. VI ტური

#### I ჯგუფი

ერაყი 0:1 ყატარი
ავსტრალია 0:1 ჩინეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 6 | 3 | 1 | 2 | 7:3 | 10 |
| ყატარი | 6 | 3 | 1 | 2 | 5:6 | 10 |
| ერაყი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |
| ჩინეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 3:4 | 6 |

#### II ჯგუფი

იაპონია 1:0 ბაჰრეინი
ომანი 2:1 ტაილანდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 6 | 4 | 1 | 1 | 12:3 | 13 |
| ბაჰრეინი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| ომანი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 8 |
| ტაილანდი | 6 | 0 | 1 | 5 | 5:14 | 1 |

#### III ჯგუფი

სამხ. კორეა 0:0 ჩრდ. კორეა
იორდანია 2:0 თურქმენეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. კორეა | 6 | 3 | 3 | 0 | 10:3 | 12 |
| ჩრდ. კორეა | 6 | 3 | 3 | 0 | 4:0 | 12 |
| იორდანია | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 7 |
| თურქმენეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:12 | 1 |

#### IV ჯგუფი

ლიბანი 1:2 სინგაპური
საუდის არაბეთი 4:0 უზბეკეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. არაბეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 15 |
| უზბეკეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 15:7 | 15 |
| სინგაპური | 6 | 2 | 0 | 4 | 7:13 | 6 |
| ლიბანი | 6 | 0 | 0 | 6 | 3:14 | 0 |

#### V ჯგუფი

ირანი 2:0 ქუვეითი
საამიროები 1:3 სირია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | 12 |
| საამიროები | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| სირია | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| ქუვეითი | 6 | 1 | 1 | 4 | 8:12 | 4 |

### აფრიკა. IV ტური

#### I ჯგუფი

კამერუნი 2:1 ტანზანია
კაბო ვერდე 3:1 მავრიკეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 10 |
| კაბო ვერდე | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| ტანზანია | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| მავრიკეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |

#### II ჯგუფი

გვინეა 4:0 ნამიბია
ზიმბაბვე 0:0 კენია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გვინეა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| კენია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| ზიმბაბვე | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| ნამიბია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | 3 |

#### III ჯგუფი

ბენინი 2:0 ნიგერი
ანგოლა — უგანდა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენინი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| ანგოლა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| უგანდა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| ნიგერი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | 0 |

#### IV ჯგუფი

ნიგერია 2:0 ეკვ. გვინეა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 4 | 4 | 0 | 0 | 6:0 | 12 |
| ს. აფრიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| სიერა ლეონე | 4 | 1 | 1 | 2 | 1:3 | 4 |
| ეკ. გვინეა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |

#### V ჯგუფი

ლიბია 4:0 ლესოტო
განა 2:0 გაბონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| ლიბია | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| გაბონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ლესოტო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |

#### VI ჯგუფი

ალჟირი 1:0 გამბია
სენეგალი 3:1 ლიბერია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენეგალი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| ალჟირი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:2 | 6 |
| გამბია | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| ლიბერია | 4 | 0 | 2 | 2 | 4:9 | 2 |

#### VII ჯგუფი

მოზამბიკი 3:0 მადაგასკარი
კოტ დივუარი 4:0 ბოტსვანა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტ დივუარი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:1 | 8 |
| ბოტსვანა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:6 | 5 |
| მოზამბიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 4 |
| მადაგასკარი | 4 | 0 | 3 | 1 | 1:4 | 3 |

#### VIII ჯგუფი

მაროკო 2:0 რუანდა
ეთიოპია 6:1 მავრიტანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 9 |
| რუანდა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| ეთიოპია | 4 | 2 | 0 | 2 | 8:6 | 6 |
| მავრიტანია | 4 | 0 | 0 | 4 | 2:14 | 0 |

#### IX ჯგუფი

ბურკინა ფასო 4:1 სეიშელები
ტუნისი 2:1 ბურუნდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბურკანა ფასო | 4 | 4 | 0 | 0 | 11:4 | 12 |
| ტუნისი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| ბურუნდი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| სეიშელი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | 0 |

#### X ჯგუფი

მალი 1:0 სუდანი
კონგო 2:0 ჩადი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:6 | 9 |
| კონგო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ჩადი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| სუდანი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |

#### XI ჯგუფი

ზამბია 1:0 სვაზილენდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სვაზილენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ზამბია | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ტოგო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |

#### XII ჯგუფი

კონგოს დ. რ. 5:1 ჯიბუტი
ეგვიპტე 2:0 მალავი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კონგო დ.რ. | 4 | 3 | 0 | 1 | 13:3 | 9 |
| ეგვიპტე | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| მალავი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:4 | 6 |
| ჯიბუტი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:23 | 0 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქანქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge